დააკავეს პატიმართა გაქცევის ორგანიზატორი A2

საქართველოს ტრეფიკინგთან ბრძოლის გაძლიერება მოუწონეს A2

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 13 სექტემბერი, 2003 წელი. №245 (457)

ფასი 30 თეთრი

# უგაზო თბილისს მაინც გაზის შეწყვეტით ემუქრებიან

## ვაკე-საბურთალოს ქსელებზე კი სარემონტო სამუშაოები დასრულდება

მაია ურუშაძე

*როგორც "24 საათს" "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობიდან აცნობეს, 15 სექტემბრიდან საქართველოს გაზის მოწოდება შეუწყდება. კომპანიის ამ გადაწყვეტილების თაობაზე თბილისის მერს ვანო ზოდელავასა და პრემიერს გია შერაძეს "იტერას" პრეზიდენტმა იგორ მაკაროვმა წერილობით გუშინ შეატყობინა.*

დედაქალაქის გაზმომარაგების საკითხი კვლავ ეჭვქვეშ დგას. **"თუ საქართველო აგვისტოს თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს – 324 ათას დოლარს და სექტემბერში მოსახმარი ბუნებრივი აირის ფასს – 324 ათას დოლარს 15 სექტემბრამდე არ გადაიხდის, "იტერა" თბილისს გაზის მოწოდებას შეუწყვეტს,"** – ნათქვამია წერილში, რომელიც გუშინ დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიიღეს.

მისი საფასურის გადაუხდელობის გამო, ბუნებრივი გაზის ონკანი თბილისს "იტერამ" ჯერ კიდევ 1 სექტემბერს გადაუკეტა. თუმცა, ქართული მხარის ხვეწნა-მუდარამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაჭრა და კომპანიამ 9 სექტემბერს დედაქალაქის გაზმომარაგება კვლავ აღადგინა. გაზის მოწოდების განახლების წინაპირობა ქართული მხარის მიერ დადებული პირობა იყო, რომ "თბილგაზი" 15 სექტემბრამდე აგვისტოს დავალიანებასაც გადაიხდიდა და სექტემბრის თანხასაც, შეთანხმებისამებრ, წინასწარ დაფარავდა.

ბუნებრივია, გაზის მიღებისთანავე მთავრობამ პრობლემის არსებობა დაივიწყა. შესაბამისად, გაზის თანხების გადახდაზეც არავის უზრუნია.

იმის თაობაზე, თუ რას აპირებს მთავრობა, გუშინ "თბილგაზში" არ საუბრობდნენ. სამაგიეროდ, "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ სწორედ გუშინ "იტერას" მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე გენადი სკიდანოვი "თბილგაზის" ხელმძღვანელობას შეხვდა და მათგან ამ თანხის ორშაბათს ჩარიცხვის გარანტიები მიიღო. **"მანამდე ბანკებში ოპერაციები მაინც არ წარმოებს,"** – დააკონკრეტა "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შევარდნაძის კიდობანი

## საქართველოს პრეზიდენტის მამულიშვილური საქმე

*ეს წერილი შეიძლება ბოლო დროს გახშირებული ღია წერილების რიცხვს მიაკუთვნოთ. თუმცა, თავისი პათოსით, იგი მაინც განსხვავებულია და მიზნად ისახავს, მადლობა უთხრას პრეზიდენტს იმ მამულიშვილური საქმისათვის, რომელსაც იგი ბოლო თვეების განმავლობაში გულდაგულ ახორციელებს. ამგვარი შესავალი უთუოდ გააკვირვებს მკითხველს, რომელიც ქვეყნის დღევანდელ ვითარებას კარგად იცნობს. ამდენად, ეს წერილი სიამოვნებით უნდა წაიკითხონ პრეზიდენტის დამცველებმა, რომლებიც მის საფუძვლიან თუ უსაფუძვლო კრიტიკას გამალებით ეწინააღმდეგებიან.*

დავით აფრასიძე

### ნოეს კიდობნის ქართული ვარიანტი

საქართველოში ყველაფრის გადატრიალებას შევეჩვიეთ. ვაშენებდით სახელმწიფოს და მივიღეთ დაშლილი ქვეყანა, ვაშენებდით დემოკრატიას და მივიღეთ ავტოკრატია, ვაშენებდით საბაზრო ეკონომიკას და მივიღეთ კლანების ეკონომიკა, მივდიოდით დასავლეთისაკენ და აღმოვჩნდით რუსეთის ენერგეტიკულ მარწუხებში. მომავალი არჩევნების წინ კი საქართველოს პრეზიდენტმა ბიბლიური ნოესა და მისი კიდობნის ქართული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არასამთავრობოები დავით უსუფაშვილის წინააღმდეგ

## რეფერენდუმის ინიციატორებს სამართლებრივი არგუმენტები არ ჰყოფნით

სოფო ბუკია

რამდენიმე დღის წინ გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდა იურისტ დავით უსუფაშვილის სტატია სათაურით - "რატომ უნდა ნიშნავდეს პრეზიდენტის ყოველი დიდგორი ქართველი ხალხის მორიგ კრწანისს?", სადაც ავტორი 2 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად დანიშნული რეფერენდუმის სამართლებრივ ასპექტებზე საუბრობს. (შეგახსენებთ, რომ 2 ნოემბრის რეფერენდუმზე მოსახლეობამ ერთადერთ კითხვას უნდა გასცეს პასუხი: **"თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 დეპუტატისა?"**

**"პრეზიდენტის ბრძანებულებაში მითითებული ფორმულირებით 2 ნოემბერს, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად რეფერენდუმის ჩატარება, ქვეყანას გარდაუვალად მიიყვანს კრიზისამდე, რასაც აუცილებლად მოჰყვება სერიოზული დესტაბილიზაცია,"** – აღნიშნავს უსუფაშვილი თავის წერილში.

გაგრძელება A3 გვერდზე



არასამთავრობოების პრეტენზია უსუფაშვილს: რატომ მაშინ არ გაგვაფრთხილეთ, როცა ხელმოწერებს ვაგროვებდით.

# "რაო ეეს როსსიი" ცივ ზამთარს გვპირდება

*დაუსრულებელი ავარიები, არანორმირებული გრაფიკები და ენერგოსისტემის კვლავაც გაურკვეველი მომავალი – აი, ის აქტივები, რაც, ჯერჯერობით, "რაო ეეს როსსიის" "თელასში" შემოსვლას მოჰყვა. დასავლეთის საინფორმაციო წყაროები რუსული ელექტროგიგანტის საქართველოში ექსპანსიას ქვეყნისათვის კვლავ საგანგაშოდ აფასებენ და შევარდნაძე-პუტინის "დიდი ენერგოგარიგებიდან" საქართველოსათვის სასიკეთოს არაფერს ელიან. მიუხედავად ამისა, ოფიციალური თბილისი არხეინადაა, "რაო" კი ენერგომარშს განაგრძობს. ამჯერად მას "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და ქვეყნის სტრატეგიულ ელექტროხაზებზე მიაქვს იერიში.*

მაია ურუშაძე

"რაო ეეს როსსიის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი რაპაპორტი "რაოსათვის" საქართველოს მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების დაქვემდებარების ინიციატივით გამოდის. მისი განცხადებით, "რაო ეეს როსსიი" სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შესაძლებლობებს განიხილავს. **"ამის გამო, ჩვენ სომხეთთან მაკავშირებელი "ალავერდის" ხაზის იჯარით აღების საკითხზეც ვმუშაობთ,"** – განუცხადა მან ჟურნალისტებს

გაგრძელება A2 გვერდზე

# ისრაელი: „არაფატი უნდა მოშორდეს"

ლევან ღირსიაშვილი

*ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. **"არაფატი უნდა მოშორდეს,"** – ასეთია ისრაელის მთავრობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ინდოეთის ვიზიტიდან იძულებით დაბრუნებულმა პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა თავისი დანაპირების შესრულება გადაწყვიტა. **"ისრაელი ამჯერად გააკეთებს იმას, რაც ადრე უნდა გაეკეთებინა,"** - განაცხადა არიელ შარონმა ჯერ კიდევ ინდოეთში ყოფნისას, საიდანაც ისრაელში მომხდარი სისხლიანი ტერაქტების გამო, სასწრაფოდ დაბრუნდა სამშობლოში. ისრაელს "ჰამასის" მიერ ორგანიზებულ ტრაგედიაზე, რამაც 15 ებრაელის სიცოცხლე შეიწირა, პასუხი უნდა გაეცა. რადგანაც თელ-ავივი ყველა ტერორისტული აქტის უკან და მშვიდობის მტრად იასირ არაფატს მოიაზრებს, უპირველესი სამიზნე ისრაელისათვის, ლოგიკურად, სწორედ პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერი უნდა ყოფილიყო.*

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

პალესტინელები თავგამოდებით იცავენ თავის ლიდერს.

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „ხალხთან საუბარი ძალიან გაგვიჭირდება"

თამარ მჭედლიშვილი

სახელისუფლებო ბლოკის სუბიექტთა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, სულ უფრო ბუნდოვანი ხდება ის პოლიტიკური პლატფორმა, რომლითაც სახელისუფლებო ბლოკი ამომრჩევლის წინაშე აპირებს წარდგომას. ბლოკის ლიდერები მთლიანად "კვოტებისთვის ბრძოლაზე" გადაერთვნენ და ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რა პოლიტიკური კაპიტალით (თუ, რაღა თქმა უნდა, ხელისუფლებას ამ მხრივ რაღაც მაინც შემორჩა) წარდგებიან ელექტორატის წინაშე.

პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ პარლამენტში წარმოთქმული ისტორიული სიტყვებით (რომელიც ბლოკის წინასაარჩევნო პროგრამად ითვლება და რომელიც ჩვენს ქვეყანას ლამის ერთ წელიწადში არნახულ აყვავებას და კეთილდღეობას ჰპირდება) ამომრჩეველს რომ ველარ მოატყუებ, ეს ისედაც ცხადია. უბრალო მოკვდავთათვის აბსოლუტურად სულერთია, რა ციფრული განხეთქილებები სუფევს მსოფლიოში და რა აზრისაა ჩვენი პრეზიდენტი მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებზე. მოსახლეობა ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მსჯელობს და სამწუხარო დასკვნებამდე მიდის – საქართველო ძალზე სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ხოლო პასუხისმგებლობა იმ ხელისუფლებას ეკისრება, რომლის წარმომადგენლები უხვად იქნებიან სახელისუფლებო ბლოკში.

სხვათა შორის, ბლოკის ლიდერთა ნაწილი უკვე პირდაპირ აღიარებს, რომ მათ ამომრჩეველთა წინაშე წარდგომა გაუჭირდებათ, თუკი ხელისუფლება უახლოეს ხანებში ელემენტარულ სოციალურ პრობლემებს ვერ მოხსნის. მათ შორისაა ქართველ სოციალისტთა ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

**- თქვენ სულ უფრო ხშირად გამოთქვამთ პრეტენზიებს სახელისუფლებო ბლოკის საქმიანობისადმი. რით არის გამოწვეული თქვენი უკმაყოფილება? იმით ხომ არა, რომ სოციალისტებისთვის გამოყოფილი კვოტები არასაკმარისად გეჩვენებათ?**

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოს ეროვნული უშიშროების მდივნის, ბატონ თედო ჯაფარიძის სახელზე ღია წერილის პასუხად

11 სექტემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი მასალა, სათაურით "ღია წერილი საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს, ბატონ თედო ჯაფარიძეს", რომელსაც ხელს აწერს ეროვნულ ძალთა გაერთიანება - კონსერვატორების თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური. "სტატიის" გამოქვეყნების თარიღი, ტონი და ბრალდებების სიუხვე, როგორც ჩანს, მკითხველისთვის ცნობილ ტერაქტში ბატონ თ. ჯაფარიძის მონაწილეობის შთაბეჭდილების შექმნისთვისაა გამიზნული. ყოველ შემთხვევაში, წერილში აღწერილი სურათი თავისი დრამატიზმით დიდად არ ჩამოუვარდება ტელევიზიით ნანახ ნიუ-იორკელი ტყუპების დანგრევის კადრებს.

შესაძლოა, მსგავს მასალაზე პასუხის გაცემა არ ღირდა. მაგრამ, იმის გამო, რომ წერილში გამოთქმულმა ბრალდებებმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება და არასწორი წარმოდგენები შეუქმნას მას მთელ რიგ საკითხებზე, საჭიროდ მივიჩნიეთ გამოვეხმაუროთ მას და მასალაში წამოყენებული საკითხები ერთხელ და სამუდამოდ განვმარტოთ.

ძიძიგურის ბრალდებებს ლაიტმოტივად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის "დაუდებლობა" (მკითხველმა გვაპატიოს ეს პერიფრაზი) გასდევს. კონცეფციის აქამდე არარსებობის უმთავრეს მიზეზად ეროვნული უშიშროების საბჭო და პირადად მისი მდივანი სახელდებიან. ბატონი ძიძიგურის საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ 1999 წელს, როცა ISAB-მა (უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭომ) კონცეფციის შექმნის საკითხი დააყენა და საქართველოში საამისოდ საგანგებოდ შექმნილი კომისია საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ-ნ ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობას შეუდგა, ბ-ნი თ. ჯაფარიძე აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ. სანამ იგი გასულ წელს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნებოდა, ამ საკითხზე შრომატევადი სამუშაო უკვე იყო გაწეული (უპირველესად აღსანიშნავია ისეთი კონცეპტუალური ხასიათის დოკუმენტები, როგორიცაა "საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია", ასევე საქართველოს სამხედრო დოქტრინა გარდამავალი პერიოდისთვის და თავად კონცეფციის რამდენიმე ვარიანტი).

გაგრძელება A4 გვერდზე

# მამალაძეს გუბერნატორად თავისი კადრი ვერ გაჰყავს

მაია მოსიაშვილი

საპარლამენტო არჩევნების "ფლეი ოფ"-ამდე ცოტა დრო დარჩა და პოლიტიკური ძალების გადანაწილებაც თითქმის დასრულდა.

მომავალი "ფლეი ოფ"-ის სიახლეთაგან აღსანიშნავია ის, რომ სახელისუფლებო პარტიის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ლიდერმა ლევან მამალაძემ გუბერნატორის ტვირთის მოცილება და ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა. როგორც ამბობენ, ამგვარი სურვილი მას 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც ჰქონია, მაგრამ მაშინ ნებართვა ვერ მიუღია.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ გუბერნატორი მამალაძე სახელისუფლებო ბლოკის სიაში დაიკავებს წამყვან ადგილს და არც ის არის გამორიცხული, რომ პარალელურად, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატადაც მოგვევლინოს. ყოველ შემთხვევაში, ორი დღის წინ, "24 საათის" კორესპონდენტთან ბოლნისის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა უკვე ლაპარაკობდა იმაზე, რომ მამალაძე მათი რაიონის მაჟორიტარობას აპირებს.

ქვემო ქართლის გუბერნატორს ეს ოფიციალურად ჯერ არ განუცხადებია, ისევე როგორც არაფრით არ სურს დაასახელოს იმ ადამიანის ვინაობა, რომელიც მის შემდგომ ქვემო ქართლის გუბერნატორის სკამს დაიკავებს. ჩვენი ინფორმაციით, ეს მამალაძის კაპრიზის ბრალი ნამდვილად არ არის. უბრალოდ, მან, ჯერჯერობით, მართლაც არ იცის, შეძლებს თუ არა გუბერნატორად საკუთარი კანდიდატის გაყვანას. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ "24 საათი" მარნეულის გამგებელს გოჩა ლორიას ესაუბრა, რომელსაც არ დაუმალავს, რომ მამალაძის ყველაზე რეალურ მემკვიდრედ წლების მანძილზე სწორედ ის მოიაზრებოდა.

**- ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ჩვენი ინფორმაციით, თქვენ ხართ გუბერნატორობის ყველაზე რეალური კანდიდატი. თქვენი პოზიცია გვაინტერესებს.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | ☼ |
| ქუთაისი | 28 | ☼ |
| ბათუმი | 28 | ☼ |
| სოხუმი | 24 | ☼ |
| გაგრა | 25 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 23 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☼ |
| გორი | 24 | ☼ |
| ახმეტა | 24 | ☼ |
| ჭიათურა | 26 | ☼ |
| ონი | 22 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1350 |
| ევრო | 2.3705 |
| გირვანქა სტერლ | 3.3712 |
| რუბლი | 0.0697 |

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# ელენე თევდორაძე - ოპოზიციის მესამე წარმომადგენელი გლდანის მაჟორიტარ კანდიდატებს შორის



პატიმართა უფლებების დამცველმა ელენე თევდორაძემ 7 წელიწადიდან 2 წელიწადი ციხეებში გაატარა.

*დეპუტატ ელენე თევდორაძის პოპულარობა უშუალოდ პენიტენციალურ სისტემას უკავშირდება. 1995 წლიდან მოყოლებული, იგი აქტიურად მუშაობს ამ სფეროში, იმდენად აქტიურად, რომ ამ შვიდი წლიდან ორ წელიწადზე მეტი ციხეში აქვს გატარებული (მას იმდენჯერ ჰქონდა ციხეებში "პაემანი", რომ საბოლოო ჯამში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გატარებული დრო ორ წელიწადს გასცდა)... გუშინ საარჩევნო ბლოკმა - "ბურჯანაძე-დემოკრატები" ელენე თევდორაძე გლდანის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინა.*

ვერიკო თევზაძე

ამომრჩეველთან შეხვედრა ახმეტელის სახელობის თეატრში გახსნა ბლოკის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შალვა ობგაიძემ, რომელმაც გლდანელებს აუწყა, რომ საქართველოში რუსთაველის და თამარ მეფის ეპოქა იწყება... ამის შემდეგ აუდიტორიის წინაშე თავად ბლოკის ლიდერი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე წარდგა. ქალბატონმა ნინომ საუბრის ემოციური სტილი არჩია. იგი ამომრჩეველს ვრცლად ესაუბრა როგორც ბლოკის სამოქმედო გეგმებზე, ასევე საკუთარ საქმიანობაზე და ელენე თევდორაძის დამსახურებებზე. პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტი შევარდნაძე და ქვეყნის მთავრობა გულგრილობასა და უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა.

ელენე თევდორაძის გამოსვლა ლაკონური იყო: **"არ მეგონა, ამდენი პრობლემა თუ აწუხებდა გლდანელებს. შეკითხვაც კი გამიჩნდა: ეს დასახლებაც ქალაქს ეკუთვნის?.. საშინელი გზები, ღამე ქუჩები განათებული არ არის, სახლები კანალიზაციის წყალზე დგას და მათ მობინადრეებს არავინ აქცევს ყურადღებას. მე ვერ დაგპირდებით, ხვალვე ყველა პრობლემის გადაჭრას შევძლებ-მეთქი, მაგრამ ვიბრძოლებ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ეს პრობლემები მაქსიმალურად მოვაგვარო. არავის მივცემ უფლებას, იმ თანხას, რომლესაც გლდანის განვითარებისთვის გამოყოფენ ბიუჯეტში, ერთი თეთრიც მოაკლდეს და ვინმეს ჯიბეში ჩავიდეს. მე ვეცდები, დავიცვა თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების უფლებები. ამის საკმაო გამოცდილება მაქვს, მზად ვარ საბრძოლველად."**

გუშინდელ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ ბრძანა, რომ 11 სექტემბერს ის შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებს და გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს: **"მოვილაპარაკეთ, რომ კოორდინირებულად ვიმოქმედებთ, ერთმანეთის ხმებს დავიცავთ, ერთმანეთს პრობლემებს არ შევუქმნით, რათა ხელისუფლებამ ოპოზიციის დაპირისპირებით არ ისარგებლოს".** გლდანში ოპოზიციამ უკვე სამი კანდიდატურა წარადგინა. **"არის რაიონები, სადაც შეიძლება "გადაფარვა" მოხდეს, თუმცა ოპოზიციამ შეიძლება მოილაპარაკოს და ზოგიერთ რაიონში ერთმანეთს დაუთმოს..."** – განაცხადა გუშინ ბურჯანაძემ.

"24 საათის" შეკითხვაზე: რამდენი პატიმარი ჰყავს გლდანის რაიონს? - ელენე თევდორაძემ ვერ უპასუხა, თუმცა დარწმუნებულნი ვართ, გამარჯვების შემთხვევაში იგი, ამომრჩეველთან ერთად, გლდანელ პატიმართა უფლებებსაც აქტიურად დაიცავს (თუ, რასაკვირველია, იმ დროისთვის ჩვენს ციხეებს პატიმრები კიდევ შემორჩა).

გუშინ საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრები სოფელ გლდანულაში საბავშვო ბაღს ეწვივნენ და მოინახულეს გლდანში ადამიანის უფლებების დაცვის ოფისი, რომელსაც ელენე თევდორაძე, უკვე რამდენიმე თვეა, ხელმძღვანელობს.

# დააკავეს პატიმართა გაქცევის ორგანიზატორი

რუსთავის მკაცრი რეჟიმის №2 კოლონიიდან გაქცეული 129 პატიმრიდან 56 პატიმარი დაკავებულია. ძებნის ღონისძიებები რუსთავში, გარდაბანსა და თბილისში ამჟამადაც მიმდინარეობს. გუშინ დილით რუსთავის კოლონიაში გაქცეული პატიმარი დაბრუნდა. იგი მეოთხე პატიმარია, რომელიც კოლონიაში ნებაყოფლობით გამოცხადდა.

პატიმართა ნებაყოფლობით დაბრუნების მიზეზი სამართალდამცველების ის განცხადებაა, რომლის თანახმად სასჯელის მოხდის ადგილებში ნებაყოფლობით დაბრუნებულ პატიმარს შეღავათს გაუწევენ და ციხიდან გაქცევისათვის დამატებით სასჯელს არ დაუნიშნავენ.

ქვემო ქართლის რეგიონული პოლიციის თანამშრომლებმა გაქცევის ერთ-ერთი ორგანიზატორი ბესიკ მარუაშვილი დააკავეს. იგი ბანდიტიზმისთვის იხდიდა სასჯელს და 14 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. გარდა მარუაშვილისა, გაქცევას ორგანიზატორობდნენ ტუსაღები თემურ რობაქიძე და ვლადიმერ ხოშტარია, რომლებიც ჯერ დაკავებულები არ არიან.

სამართალდამცველები, გაქცეულ პატიმრებთან ერთად, კოლონიის გუშაგსაც ეძებენ.

საქმე ისაა, რომ კოლონიის გუშაგი ზაურ ალიევი, რომელიც პატიმრებმა გაქცევისას დაჭრეს, რუსთავის საავადმყოფოდან გაიქცა. ალიევი პროკურატურას პატიმართა გაქცევის ფაქტთან დაკავშირებით უნდა დაეკითხა, თუმცა საავადმყოფოში მისულ სამართალდამცველებს პატიმარი ადგილზე აღარ დახვდათ.

"ზაურ ალიევი, რომელმაც რუსთავის საავადმყოფო დღეს დილით დატოვა, ეჭვმიტანილი არ ყოფილა და საავადმყოფოს ჩუმად დატოვების შესახებ მისი გადაწყვეტილების მიზეზი უცნობია," – აცხადებს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი წკრიალაშვილი. მისი თქმით, ალიევმა ყველაზე უკეთ იცის, რა ხდებოდა კოლონიაში პატიმართა გაქცევის დროს და შეეძლო გამოძიებისთვის საინტერესო დეტალები მოეთხრო. „დარწმუნებული ვარ, ალიევი გამოძიებას არ ემალება და მისი დაკითხვა შესაძლებელი გახდება", – აცხადებს მინისტრის მოადგილე.

როგორც ცნობილია, პატიმართა ციხიდან გაქცევის საქმეზე, სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით, გუშაგი მეხში ატაკშიევია დაკავებული. **მედია-ნიუსი**

# "რაო ეეს როსსიი" ცივ ზამთარს გვპირდება

პირველი გვერდიდან

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ამ საკითხმა იმიტომ წამოიწია, რომ "რაომ" შესყიდული ელექტროენერგიის უდანაკარგოდ მიღების გარანტიები მოიპოვოს.

"რაო" უკმაყოფილოა, რომ საქართველოში ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაცია-განაწილებას ირლანდიური "ი-ეს-ბი-აი" ახორციელებს. რაპაპორტის შეფასებით, დღეს ქვეყანაში ელექტროენერგიის მენეჯმენტი "დაბალპროფესიონალურ დონეზე" ხდება. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა დღეს თბილისის კუთვნილ დენს რეგიონებს აწვდის. **"სანამ სემეკი "თელასს", "სახელმწიფო ელექტროსისტემასა და საბითუმო ბაზარს შორის ურთიერთობას არ დაგვირეგულირებს, მანამ თბილისის უწყვეტი ელექტრომომარაგების გარანტიები არ არსებობს,"** – ასეთი იყო "თელასის" ახალი მეპატრონის, "რაო ეეს როსსიის" მაღალჩინოსნის ვერდიქტი მომავალი ზამთრისათვის. მისი თქმით, "რაო" ცდილობდა ელექტროენერგიის იმპორტს რუსეთიდან, მაგრამ "კავკასიონზე" მომხდარი დივერსიის გამო, ეს შეუძლებელი გახდა. (სხვათა შორის, აქვე შეგახსენებთ, რომ "კავკასიონის" ოპერატორი – "საქრუსენერგო" ნახევრად "რაო ეეს როსსიის" საკუთრებაა).



რუსები საზამთროდ კარგს ვერაფერს გვპირდებიან.

რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფს, რაპაპორტს ახალი და, თავისი ხელმძღვანელის – ანატოლი ჩუბაისის სიტყვებისაგან განსხვავებული არაფერი უთქვამს: **"ტარიფი მხოლოდ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლებზე იქნება დამოკიდებული."**

რაც შეეხება ზამთარში მოსახლეობის ელექტრომომარაგებას, ეს საკითხი მხოლოდ და მხოლოდ "გაზპრომის" გაზზე იქნება დამოკიდებული. რაპაპორტის ინფორმაციით, ჩუბაისის ენერგოგიგანტი თბილსრესის მე-9 ენერგობლოკის ასამუშავებლად საჭირო გაზის მოწოდების თაობაზე სწორედ "გაზპრომთან" აპირებს მოლაპარაკებების გამართვას. ორი რუსული გიგანტის დიალოგი, სავარაუდოდ, პირდაპირ მოსკოვში, ჩვეული სამთავრობო ვოიაჟების გარეშე შედგება. ბლოკის მოსაწესრიგებლად "რაომ" 2 მილიონი ლარი უკვე გამოყო. მისი ამოქმედება 15 ოქტომბრისთვის იგეგმება.

და ბოლოს: როგორც გუშინ გაირკვა, ანდრეი რაპაპორტი ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართულ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზეც" (გსეკ) "ეჭვიანობს", რომელსაც, თურმე, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" დაწესებულ ლიმიტზე 3-ჯერ მეტ ელექტროენერგიას აწვდის... **"და ეს მაშინ, როცა კომპანია "თელასს" მოთხოვნილი ელექტროენერგიის 60-80 პროცენტიც არ მიეწოდება."**

რაპაპორტის ამ განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენეგოკომპანიის" მრჩეველი ზურაბ ნოღაიდელი და განაცხადა, რომ "თელასის" ახალი ხელმძღვანელების ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა. **"კარგი იქნებოდა, მათ ამგვარი განცხადებებისგან თავი შეეკავებინათ, რადგან ამგვარი გამოსვლები "გსეკ"-ის მხრიდან უპასუხოდ არასოდეს დარჩება. ჩვენთვის რომ ხელისუფლებას ფილიალების შეზღუდვაში ხელი არ შეეშალა, ახლა ენერგოსისტემაში მდგომარეობა უკვე გაუმჯობესებული იქნებოდა,"** – განაცხადა "გსეკ"-ის მრჩეველმა.

# უგაზო თბილისს მაინც გაზის შეწყვეტით ემუქრებიან

პირველი გვერდიდან

**"ეს ჩვენთვის არ არის ისეთი დიდი თანხა, რომ მის გამო თბილისი გაზის გარეშე დარჩეს,** – განუცხადა "24 საათს" თბილისის პრემიერმა გია შერაძემ, - **მართალია, ჩვენ "იტერასთვის" ამ თანხის გადახდას სექტემბრის ბოლოსთვის ვგეგმავდით, მაგრამ, როგორც ჩანს, "გაზპრომის" ჩანაცვლებამ "იტერა" შეაშფოთა და ფულის მოთხოვნაც, ალბათ, სწორედ ამიტომ დააჩქარა."**

სავარაუდოდ, მერიას "იტერას" ვალების გასასტუმრებლად კვლავ კომერციული კრედიტის აღება მოუწევს.

მიუხედავად იმისა, შეწყვეტს თუ არა "იტერა" გაზის მოწოდებას, თბილისის გაზმომარაგების საკითხი, ჯერჯერობით, მაინც ღიად რჩება. საქმე ის არის, რომ "ინჟმშენის" მიერ წამოწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი 4,5 მილიონი ლარი იხარჯება, ჯერ ისევ გრძელდება. დასრულდა ამ სამუშაოების მხოლოდ პირველი ეტაპი, რომლის შედეგადაც, როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, ვაკე-საბურთალოს გაზმომარაგების ქსელი უკვე სრულ წესრიგშია. **"ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, ქსელში წნევაც დარეგულირდება,"** – განუცხადა "24 საათს" ქალაქის პრემიერმა გია შერაძემ. სამუშაოების ბოლომდე დასრულებას "თბილგაზში" ნოემბრამდე ვარაუდობენ.

ამასობაში კი თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე ნანული ქაჩიბაია ხელისუფლებას ამ თანხის დატაცებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ თბილისის გაზმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხა მიზნობრივად კი არ დახარჯულა, არამედ სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარ დეპუტატებს გადაურიცხეს. **„სამშენებლო ორგანიზაცია „ინჟმშენს" კუთვნილი თანხა არ გადაურიცხეს, რის გამოც ეს ორგანიზაცია დაწყებულ სამუშაოებს შეწყვეტს, შედეგად კი, თბილისის გაზმომარაგების აღდგენაც გაურკვეველი ვადით გადაიწევს,"** — მიიჩნევს ქაჩიბაია და თბილისის ელექტრომომარაგებაში არსებულ შეფერხებებსაც ხელისუფლების წინასწარგანზრახულ პოლიტიკას უკავშირებს.

# საქართველოს ტრეფიკინგთან ბრძოლის გაძლიერება მოუწონეს

*ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ინფორმაცია მიაწოდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს ათმა ქვეყანამ, მათ შორის - საქართველომ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლაში, რითიც თავიდან აიცილეს სადამსჯელო სანქციების დაწესება.*

სოფიკო ჩხაიძე

როგორც ცნობილია, 11 ივნისს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მოხსენება მსოფლიოში ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ, რომელშიც საქართველო მესამე კატეგორიის, ანუ იმ ქვეყნებს მიაკუთვნა, სადაც მთავრობა არ ასრულებს ტრეფიკინგის აღსაკვეთად აუცილებელ მინიმალურ სტანდარტებს და მდგომარეობის გამოსასწორებლად მნიშვნელოვან ზომებს არ იღებს. ამერიკის ხელისუფლებამ ამ რიგის ქვეყნებს 90-დღიანი ვადა მისცა საიმისოდ, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლის თვალსაზრისით, ქმედითი ნაბიჯები გადაედგათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი დახმარების შეწყვეტით დაიმუქრა.

ამერიკელების მიერ დაწესებული დედლაინის მოახლოებასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტმა ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში თადარიგი წინასწარ დაიჭირა და ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების საჭიროებაზე ალაპარაკდა. პარლამენტის მიერ, აშშ-დან მიღებული მკაცრი შენიშვნების შემდეგ, დაჩქარებული წესით მიღებულ კანონს კი "საკმაოდ ლიბერალური" უწოდა. თუმცა კი, პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში ჩამატებული მუხლი - 143 პრიმ, სახელწოდებით, ადამიანით ვაჭრობა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, საკმაოდ მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებს. ამ ცვლილების თანახმად, ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება ექსპლუატაციის მიზნით, ისჯება 5-დან 10 წლამდე პატიმრობით; თუ ადამიანით მოვაჭრე დანაშაულს ჩაიდენს შანტაჟის, მოტყუებისა და ძალადობის გზით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ადამიანს მოტყუებით გაიყვანს საზღვარგარეთ, გარიგება შედგება დაზარალებულის სხეულის ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის მიზნით, დამნაშავე დაისჯება 8-დან 15 წლამდე პატიმრობით; ხოლო, თუ ტრეფიკინგით დაკავებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება და მათი ქმედება ადამიანის სიკვდილს ან სხვა მძიმე შედეგს გამოიწვევს, ჯგუფის წევრებს 12-დან 20 წლამდე სასჯელი ელოდებათ. გარდა ამისა, კორექტივები შედის 172-ე მუხლში, რომელიც არასრულწლოვანებით ვაჭრობას ითვალისწინებს. გაერო-ს ექსპერტთა მოთხოვნით, ტრეფიკინგის ამ რგოლის შემსრულებელთა მიმართ სასჯელი გამკაცრდება და ბავშვებით მოვაჭრეებს 8-დან 20 წლამდე პატიმრობა ელით.

ამ ცვლილების მიღებიდან, ანუ, ივნისიდან დღემდე საქართველოში სამართალდამცველმა ორგანოებმა ახალი მუხლით უკვე სისხლის სამართლის ორი საქმე აღძრეს, გამოავლინეს ბავშვებით ვაჭრობის ოთხი ფაქტი, თვის ბოლოსთვის კი უკვე მზად იქნება ტრეფიკინგის შესახებ დამოუკიდებელი კანონის პროექტი. ყოველივე ეს, ცხადია, საქართველოს აქტივებში ჩაიწერა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციის აზრით, მისასალმებელია, რომ რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის - საქართველომ, ოპერატიული რეაგირება მოახდინეს იმ პრობლემებზე, რომლებზეც ადამიანებით ვაჭრობის თაობაზე 2003 წლის მოხსენებაში იყო საუბარი. ამერიკის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მესამე კატეგორიაში შესული 15 ქვეყნიდან ათის მიერ გადადგმული ნაბიჯები ნათელყოფს, თუ რა დადებითი ძვრებისა და, შესაბამისად, შედეგების გამოწვევა შეუძლია ამერიკის ადმინისტრაციის ჩარევას.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაკეთებული დასკვნის შესაბამისად, საქართველომ, სხვა ცხრა ქვეყანასთან ერთად, მეორე კატეგორიის ქვეყნებში გადაინაცვლა, რაც ნიშნავს, რომ, მართალია, ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში გარკვეული პროგრესი შეინიშნება, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს დარღვევები. აქედან გამომდინარე, საქართველოში ამერიკის საელჩოს მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა განაგრძოს შეურიგებელი ბრძოლა ტრეფიკინგის, ამ ანტიჰუმანური პრაქტიკის წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საელჩოს განმარტებით, ეს საკითხი ბუშის ადმინისტრაციის მსჯელობის საგანი მომავალ წელსაც გახდება და მდგომარეობის შემდგომი გამოუსწორებლობა კვლავაც მესამე კატეგორიაში დაბრუნების საფრთხეს შექმნის, რასაც, ცხადია, სერიოზული შედეგები მოჰყვება, აშშ-ს დახმარების შემცირების ან, საერთოდაც, შეწყვეტის სახით.

# "ტრასეკას" უსაფრთხოებას ავღანეთის ტვირთებით ამოწმებენ

ნინო ნარჩემაშვილი

ავღანეთის აღორძინების პროექტისათვის განკუთვნილი, 200 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული თორმეტი სატვირთო მანქანისაგან შემდგარი კოლონა, რომელმაც გერმანიიდან ცხრა დღის უკან აიღო სტარტი, 15 სექტემბერს უკვე ფოთში შემოვა. საქართველოსათვის კი მნიშვნელოვანი ის ფაქტორი გახლავთ, რომ ტვირთი "ახალი აბრეშუმის გზით", ანუ ევროპა-კავკასია-აზიის (TRACECA) სატრანსპორტო დერეფნით გაივლის. ჰუმანიტარული ტვირთი გერმანიის სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ იქნა გამოყოფილი, ხოლო მისი ტრანსპორტირების პატრონტაჟი და ინიციატივა ევროკავშირსა და "დრაიმლერ-კრაისლერის" კომპანიას ეკუთვნის. კოლონა სხვადასხვა ქვეყნის სამოცდაშვიდი ჟურნალისტის თანხლებით მოძრაობს, ასე რომ, მისი ყოველი გადაადგილება საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდება. ტვირთის საქართველოში შემოსვლამდე ჰუმანიტარული აქციის მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სასტუმრო "მერიოტში" პრესკონფერენცია გამართეს და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. აღნიშნეს, რომ ეს აქცია ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის დემონსტრირებაა, რომ მსოფლიომ უკვე გააკეთა არჩევანი და ავღანეთის მიმართულებით გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთები სწორედ ამ გზით, საქართველოზე გაივლის, რომ ყოველივე აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური სტაბილურობისათვის. ევროპის ავტობანების შემდეგ კოლონას საქართველოს გზებზე გადაადგილება გაუჭირდება, მაგრამ იმედია, დათქმულ დროს თბილისს მოაღწევს - 16 სექტემბერს დაგეგმილია აქციის მონაწილეთა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ხაშურის რაიონიდან პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში, კვლავ მაჟორიტარული წესით, ხაშურის რაიონში იყრის კენჭს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისსა და სოხუმს შორის, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი) შუამავლობით უსაფრთხოების გამომუშავების თაობაზე თბილისში გასამართი შეხვედრა, 18 სექტემბრის ნაცვლად, სავარაუდოდ, 23 სექტემბერს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო უწყებას 9 სექტემბერს სოხუმში კრასნოდარის მხარესა და აფხაზეთის არაღიარებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების გამო საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ყვარლის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ჟურნალისტი თამარ მოლაშვილი იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს მწვანეთა პარტია" სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" საარჩევნო სიაში კვოტების 6%-ს ითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" დარწმუნებულია, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას მოიპოვებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა პარასკევს რუსეთის მხარეს სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკებებისას მეტი აქტიურობის გამოჩენისკენ მოუწოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის ძმა, პოპულარული ქართველი მომღერალი "უცნობი" სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ წინასაარჩევნოდ დიდი ოპოზიციური გაერთიანება ვერ მოხერხდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალური თბილისი დევნილების დაბრუნების საკითხთან აკავშირებს აფხაზეთთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენას, რომელიც 1992-93 წლებში მომხდარი საომარი კონფლიქტის შედეგად შეწყდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანიის სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი უდო ბუხგოლდერი 13-21 სექტემბერს საქართველოს ეწვევა და ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს გამართავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გიული თბილისს ოფიციალური ვიზიტით 15-16 სექტემბერს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი თენგიზ კიტოვანი დღეს მოსკოვიდან დაბრუნდა და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას მთაწმინდის რაიონში აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე საკანონმდებლო ორგანოს ქმედითუუნარობაში სპიკერატს ადანაშაულებს.

როგორც დოლიძემ განაცხადა, პარლამენტის სპიკერმა და ვიცე-სპიკერებმა დეპუტატებს დისციპლინის პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და პლენალური თუ საკომიტეტო სხდომების გაცდენისათვის საჯარიმო ღონისძიებები გაბედულად გაატარონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონიდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების ყრილობა სექტემბრის ბოლოს ზუგდიდში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 15-16 სექტემბერს ქალაქ სტამბოლში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის უფროს თანამდებობის პირთა შეხვედრა გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კვორუმის უქონლობის გამო, საქართველოს პარლამენტმა დღეს საშემოდგომო სესიის დახურვა ვერ მოახერხა. პლენალურ სხდომაზე რეგისტრაცია დღეს მხოლოდ 75-მა დეპუტატმა გაიარა. როგორც სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, საშემოდგომო სესიის დახურვას პარლამენტი, სავარაუდოდ, ხუთშაბათს შეეცდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს „ტრანსპორტელთა დარბაზმა" პირველი პოლიტიკური განცხადება გააკეთა. ამ ახლად შექმნილი პარტიის თავმჯდომარის ბადრი დარჯანიას განცხადებით, „ტრანსპორტელთა დარბაზი" ერთიანდება სახელისუფლო საარჩევნო ბლოკში „ახალი საქართველოსთვის". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დასრულდა ეუთო-ს საგანგებო ჯგუფის ხელმძღვანელის, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის დაან ევერსტის ვიზიტი. ვიზიტის პრიორიტეტული საკითხები იყო საქართველოში მომავალი საპარლამენტო არჩევნები, კონფლიქტების მოგვარების პროცესები და ეუთო-ს მომავალი მინისტრთა საბჭოს შეხვედრის თემატიკა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## კულუარები

### საქართველოს ყოფილო ელჩებო, გაერთიანდით!

პრეზიდენტი შევარდნაძე საკუთარი პოლიტიკური გვარდიის გაძლიერებას ცდილობს. როგორც ჩანს, მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ის "ახალი" სახელები, რომლებმაც ხელისუფლების საარჩევნო ბლოკში და თავად პრეზიდენტის მხარდამჭერთა რიგებში გაიჟღერა. ახლა იგი ყოფილი დიპლომატების "გადმობირებას" ცდილობს. კულუარული ინფორმაციის თანახმად, სულ მალე მის მხარდამჭერთა შორის ყოფილი ელჩების გვარები გაიჟღერებს. როგორც ამბობენ, მათ შორის ერთ-ერთი პირველი აპოლონ სილაგაძე იქნება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ერევანი.** სომხეთში სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხის განხილვამ ცხარე კამათისა და ურთიერთბრალდებების ფონზე ჩაიარა. მოკამათე მხარეებმა საქართველოს მაგალითი მოიყვანეს. „ხუთი წლის წინათ საქართველომ გააუქმა სიკვდილით დასჯა, მაგრამ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამას წინათ საჯაროდ აღიარა, რომ ნანობს ამას, რადგან კრიმინოგენული სიტუაცია მკვეთრად გამწვავდა", — განაცხადა პარლამენტარმა არამ სარგსიანმა. მიუხედავად კამათისა, სომხეთში სიკვდილით დასჯა გაუქმდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** „ბოლო სამი წლის განმავლობაში აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა დააკავეს და სხვა პარტნიორ ქვეყნებს გადასცეს 23 უცხოელი ტერორისტი, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ," — განაცხადა აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების მინისტრის მოადგილემ ფუად ისკანდეროვმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისში ოთხი ნიღბიანი, ავტომატური იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა საქართველოს სახელმწიფო საგუშაგო სამსახურის პოლიციელს ზაალ ცერცვაძესა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელს ომარ ფხაკაძეს. ფხაკაძე თავის არეში მიყენებული ჭრილობით ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, ხოლო ზაალ ცერცვაძე ადგილზე გარდაიცვალა. ქუთაისის პოლიციის უფროსის თემურ ნოზაძის ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა ათას დოლარამდე თანხა გაიტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეში ხეზე თოკით ჩამომხრჩვალი 50-55 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მამაკაცმა თავი მოიკლა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო. გარდაცვლილის ვინაობა დგინდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები სასჯელაღსრულების დაწესებულებებს დაიცავენ. შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, შინაგანი ჯარები ამ დაწესებულებებში შესვლა-გამოსვლის პროცესს გააკონტროლებენ.

ნარჩემაშვილის აზრით, სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროს დაცვის სამსახური არ აღმოჩნდა მობილიზებული იმისათვის, რომ პატიმართა მასობრივი გაქცევა თავიდან აეცილებინათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი უდო ფულდფოლდერი. შეგახსენებთ, რომ გერმანულმა მხარემ უკვე მოამზადა საქართველოს სასაზღვრო უწყების პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნის პროექტი, რომლის განხორციელებასაც კოორდინაციას უწევს გერმანიის სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელი, ე.წ. მეკავშირე ოფიცერი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე მსოფლიო ბანკის რეგიონალურ დირექტორს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დონა დოისეთ ქოიროლოს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ეკონომიკური გუნდის მინისტრებიც ესწრებოდნენ, მსოფლიო ბანკის პროექტების მიმდინარეობა განიხილეს. დოისეთ ქოიროლო ქვეყანაში მიმდინარე ფისკალურ პოლიტიკას უარყოფითად აფასებს. "გული მწყდება, რომ 3 თვის განმავლობაში მთავრობამ სავალუტო ფონდის პროგრამის შესრულება ვერ მოახერხა," - განუცხადა ჟურნალისტებს შეხვედრიდან გამოსულმა დოისეთ ქოიროლომ. მისი თქმით, მართალია, სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს შორის პირდაპირი კავშირი არ არის, მაგრამ თუ ფონდის პროგრამა შეფერხდება, ეს მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის მსოფლიო ბანკის პროექტების განხორციელებას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით კი, თუ სავალუტო ფონდის პროგრამა არ აღდგება, მსოფლიო ბანკის "სტრუქტურული გარდაქმნის" 15 მილიონდოლარიანი პროგრამის განხორციელება ეჭვქვეშ დადგება. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მსოფლიო ბანკმა საქართველოში მისი წარმომადგენლის კანდიდატურა უკვე შეარჩია და მას საქართველოს ხელისუფლებას, სავარაუდოდ, ოქტომბერში წარუდგენს," — განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში დონა დოისეთ ქოიროლომ. მსოფლიო ბანკის ახალი წარმომადგენელი საქართველოში მის წინამორბედს თევფიქ იაპრაკს შეცვლის, რომელმაც, საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, თბილისი ივლისის თვეში დატოვა. ოქტომბრამდე საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის მოვალეობებს თამარ გოცაძე შეასრულებს. **მედია-ნიუსი**

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „ხალხთან საუბარი ძალიან გაგვიჭირდება"

პირველი გვერდიდან

- ერთადერთი, რითიც უკმაყოფილო ვარ, ის არის, რომ დღეს ვერ ხერხდება ელექტროენერგიასთან, პენსიებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე მთავარია. ამის თაობაზე ბატონ ავთო ჯორბენაძესთან საკმაოდ ხშირი საუბრები გვაქვს. ისიც უკმაყოფილოა შექმნილი ვითარებით. ამიტომაც ვამბობ, რომ ამ საკითხების დროულად მოგვარება ჩვენთვის ყველაზე მთავარი ამოცანაა. ვერც პროპაგანდით და ვერც ვერაფრით დავიკვეხნით ამომრჩეველთან, თუ ეს პრობლემები ვერ გადავჭერით. განსაკუთრებით მძიმე სურათია ენერგეტიკაში. ჩემი აზრით, ამ სფეროში დივერსიას ან, ყოველ შემთხვევაში, საბოტაჟს აქვს ადგილი.

**- იქნებ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ?**

- "რაო ეეს-ის" შემოსვლის შემდეგ აფეთქდა ენერგობლოკი, ესვრიან გადამცემ ხაზებს. მე მიმაჩნია, რომ უშიშროება გამოძიებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს და ხალხს ამცნოს, რა ხდება ამ სფეროში.

**- თქვენი აზრით, ვინ აწყობს ამ საბოტაჟს?**

- მე რომ უშიშროების მინისტრი ვიყო, ამ კითხვაზე პასუხს გაგცემდით. ისინი იმ ძალებში უნდა მოვძებნოთ, ვინც ამერიკული კომპანიის არსებობით ფინანსურად იყო დაინტერესებული. კონკრეტულად, იყვნენ თუ არა ჟვანია და სააკაშვილი იმ დროს დაინტერესებულები, ამის მონაცემები არ მაქვს. ამიტომაც ეს საქმე უშიშროებამ უნდა შეისწავლოს და მასალები სრულად წარმოადგინოს.

**- რატომ არ აკეთებს უშიშროება ამას? მით უმეტეს, რომ იგი "ჭიათურმანგანუმთან" დაკავშირებით საკმაოდ მკვეთრ ნაბიჯებს დგამს. ენერგოსისტემაში არსებული ვითარების გამოძიება ხომ გაცილებით მნიშვნელოვანია?**

- ეს ჩემთვისაც საინტერესოა.

**- გამოდის, რომ ვალერი ხაბურძანიას უწყება ჩართულია პოლიტიკურ თამაშებში და მხოლოდ იმ საქმეს ჰკიდებს ხელს, რომელზეც პოლიტიკური დაკვეთა არსებობს?**

- არ ვიცი, არა მგონია. ხაბურძანია, საერთოდ, პატიოსანი კაცია. მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ საქართველოში უშიშროების სისტემა დაუძლურებულია. მათ ჰყოფნით ძალები, ვთქვათ, პანკისის პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ მთლიანად, სახელმწიფო უშიშროების დაცვისთვის ძალა არ რჩებათ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"უკმაყოფილო ვარ, რომ დღეს ვერ ხერხდება ელექტროენერგიასთან, პენსიებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა."

**- თქვენი ბლოკის ლიდერები მთლიანად კვოტების გადანაწილებაზე არიან გადართულები და ამ პრობლემებზე საერთოდ არ საუბრობენ. თუკი უახლოეს ერთ თვეში ამ პრობლემებს არ გადაწყვეტთ, როგორ წარდგებით ამომრჩევლის წინაშე?**

- მთლად ასეც არ არის. მაგალითად, ავთო ჯორბენაძე კვოტების გადანაწილებაში მონაწილეობას არ იღებს. გუშინაც არ დასწრებია თათბირს. იგი ვერც კვოტებისთვის, ვერც სიებისთვის ვერ იცლის.

**- და მაინც, პრობლემები თუ ვერ მოაგვარეთ, მაშინ რას აპირებთ?**

- ძალიან გაგვიჭირდება. არ ვიცი, ამ დროს რა უნდა ველაპარაკოთ ამომრჩეველს. მე პირადად, არ ვარ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი და ჩემი ამოცანა პოლიტიკური ხასიათისაა, ანუ ცხოვრებაში ჯვარისებრი კონცეფციის განხორციელება, რაც რუსეთთან ურთიერთობების აგებას გულისხმობს. მაგრამ, მხოლოდ მე ხომ არ ვარ ამ ბლოკში? აღმასრულებელი ხელისუფლებაც არის და პრობლემების მოუგვარებლობის შემთხვევაში, ბლოკს ძალიან გაუჭირდება.

**- როგორც ამბობენ, თავად ბლოკის სუბიექტებს შორის ურთიერთობები სულ უფრო იძაბება. სოციალისტებისთვის გამოყოფილი კვოტების შემცირების გამო თქვენც უკმაყოფილო ხომ არ ხართ?**

- ასე არ არის. სიაში რამდენი ადგილიც გვქონდა, იმდენი დაგვრჩა – 70-ში შვიდი. თანაც, რამდენიმე მაჟორიტარი კანდიდატი გვყავს. მთლიანობაში, ფრაქციის შექმნის იმედი გვაქვს. საერთოდ, ბლოკში ყველაფერი კარგად მიდის, კვოტებიც განაწილდება. ყველა თავისი ძალისა და რეიტინგის მიხედვით მიიღებს ადგილებს. აქ პრობლემები არ იქნება. 20 სექტემბრამდე ყველაფერი გადაწყდება.

# მამალაძეს გუბერნატორად თავისი კადრი ვერ გაჰყავს

პირველი გვერდიდან

- ჩემი პოზიცია დადებითი და აუ, როდის გადავალ - ასეთი არ არის. ლევანის შეცვლა ძალიან რთულია. რომ გითხრათ, რომ არ ვიცი გუბერნატორობის შესაძლო კანდიდატი ვარ-მეთქი, სისულელე იქნება. ყოველთვის, არჩევნები რომ მოახლოვდებოდა, იწყებოდა ლაპარაკი, აი, გოჩა, გადადიხარ და ასე შემდეგ. სიმართლე გითხრათ, ბევრჯერ მაქვს ამაზე ნაფიქრი და როგორც გადაწყვეტენ, გადაწყვეტენ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, სულელი უნდა იყოს კაცი, რომ უხაროდეს ლევანის შეცვლა, იმდენად ძნელია ეს საქმე.

თავად სამხარეო ადმინისტრაციაშიც ლორია უალტერნატივოდ მიაჩნდათ, რომ არა ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია. არაოფიციალური წყაროებით გავრცელდა ხმები, რომ შესაძლოა, გუბერნატორ მამალაძის ადგილი მისმა მოადგილემ და აპარატის უფროსმა ზურაბ კობიაშვილმა დაიკავოს. კობიაშვილი სამი წელია ქვემო ქართლის სამხარეო ადმინიასტრაციაში მუშაობს. ის არასოდეს ყოფილა ზედმეტად აქტიური ან ამბიციური. კობიაშვილს საბჭოთა პერიოდში წარმატებული პარტიული კარიერა ჰქონდა, მისი ძველი მეგობრები საკმაოდ გავლენიანი პირები არიან სახელმწიფო კანცელარიაში. სწორედ ამ ფაქტორს ასახელებენ კობიაშვილის შესაძლო გაგუბერნატორების მთავარ მიზეზად, თუმცა არსებობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებიც. სავარაუდოდ, შევარდნაძე ქვემო ქართლის გუბერნატორად მამალაძის კადრის დანიშვნას იმ შემთხვევაში აარიდებს თავს, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ ის მომავალშიც მისი ერთგული დარჩება.

წინასაარჩევნო სიტუაცია თანდათან მძიმდება ქალაქ რუსთავშიც, სადაც "ფლეი ოფ"-ში, წინასწარი ინფორმაციით, "რუსთავცემენტის" გენერალური დირექტორი გოგი სალაყაია და გენერალი სოსო ალავიძე "შეერკინებიან". პირველს მამალაძე უჭერს მხარს, მეორეს - მერაბ ტყეშელაშვილი. ამ ორის გარდა რუსთავის მაჟორიტარობის კიდევ ათიოდე მსურველი ყოფილა, რაც არ გამორიცხავს, რომ რუსთავის არჩევნები კვლავაც სიურპრიზებით იყოს სავსე.

# ნინო ბურჯანაძე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემატიკაზე გადაერთო

გიორგი ასანიშვილი

ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი ნინო ბურჯანაძე გუშინ თბილისის საარჩევნო შტაბში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. პარლამენტის თავმჯდომარემ და მისი გუნდის წევრმა ლადო პაპავამ შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს საკუთარი მოსაზრებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, ეს სტრატეგია ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება ბლოკის წინასაარჩევნო პლატფორმისა, რომელიც 20 სექტემბრისთვის გამოქვეყნდება და საზოგადოებას გააცნობს ბურჯანაძის გუნდის თვალთახედვას ცალკეული დარგების და სფეროების განვითარებაზე.

"ბურჯანაძე-დემოკრატების" სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის თანახმად, ქვეყანაში ეკონომიკური გარდატეხა უნდა მოხდეს 10 პრინციპზე დაყრდნობით. ეს პრინციპებია: კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხელშეუხებლობა და განმტკიცება; მეწარმეობისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება; სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების დაფუძნება; ეკონომიკური, სოციალური და ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემების შექმნა; ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება და სხვ.

**"დოკუმენტი რეალისტური იქნება. მასში აისახება და გათვალისწინებული იქნება ის მდგომარეობაც, რომელიც რეგიონებში ყოფნის დროს ვნახე",** - განუცხადა შეხვედრის მონაწილეებს ნინო ბურჯანაძემ. მისივე თქმით, ამჟამად მთავარი პრობლემა ის არის, რომ ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება არა აქვთ.

**"ადამიანები იმას კი არ ითხოვენ, რომ ხელისუფლებამ ასვას, აჭამოს და შეინახოს, არამედ იმას, რომ მთავრობამ მათ შრომის სათანადო პირობები შეუქმნას. რაღაც ეტაპზე რომ სახელმწიფო გლეხს დაეხმაროს, ცოტა ხნის შემდეგ ის თავის ოჯახსაც უზრუნველყოფს მატერიალურად და ქვეყანასაც აქეთ დაეხმარება",** - აღნიშნავს ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ქვეყანაში არსებული რესურსების სათანადოდ ათვისების შემთხვევაში, საქართველოს ბიუჯეტი, სულ ცოტა, სამ-ოთხჯერ გაიზრდება.

# შევარდნაძის კიდობანი

პირველი გვერდიდან

როგორც ვიცით, ნოემ, რომელსაც წარღვნისაგან უნდა ეხსნა ქვეყანა, ააშენა კიდობანი და ყველა ცოცხალი არსების თითო წყვილი შეიყვანა ამ კიდობანში. ამით მან სიცოცხლე შეუნარჩუნა სამყაროს. საქართველოს პრეზიდენტი დღეს ქმნის ასეთ კიდობანს, რათა გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა. ოღონდ, ერთი არსებითი განსხვავებით - თუ ნოესთან კიდობნის მაცხოვრებელნი გადარჩნენ და საფუძველი ჩაუყარეს ახალ ცხოვრებას, ქართულ კიდობანში შეხიზნულნი, პირიქით, საზოგადოებას უნდა ჩამოშორდნენ და ნორმალური განვითარების საშუალება მისცენ მას. ალბათ, მიმიხვდით - ქართული ნოეს კიდობანი საარჩევნო ბლოკი "ახალი საქართველოსათვისაა."

### ბლოკი "ახალი საქართველოსათვის"

ბლოკში ყოველდღე ახალი სახე ჩნდება. ძველ "მოქალაქეთა კავშირზე" ამბობდნენ, რომ იგი საზამთროს წააგავდა - გარეთ მწვანე, შიგნით წითელი და ალაგ-ალაგ შავი. ნეტავ, რას იტყოდნენ დღევანდელ სახელისუფლებო ბლოკზე? სოციალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ერთად ყოფნას არა თანამედროვე მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის დაახლოება ჰქვია, როგორც ამას ბლოკის მომხრეები ამბობენ, არამედ იდეოლოგიური უპრინციპობა. ბლოკში გამეფებული ამ უპრინციპობის დამადასტურებელია ყოფილი ზვიადისტებისა და მათი ყოფილი დამამხობლების, პოპულისტი ნაციონალისტებისა და პოსტკომუნისტური ნეონომენკლატურის გვერდიგვერდ ჯდომა.

გურამ შარაძე მცხეთაში მაჟორიტარობაზე უარს ამბობს და ავიწყდება, თუ რა დღე აყარა ცოტა ხნის წინ ხელისუფლების მომხრე ბადრი ხატიძეს. არ გაგიკვირდეთ, თუ მან მცხეთელებს ხატიძის "სავლედან" "პავლედ" გადაქცევა აუწყოს, რამეთუ ახლა ერთიც და მეორეც ერთ კიდობანში სხედან.

ახალი სახეებია თავდაცვის ყოფილი მინისტრი და უშიშროების ყოფილი უფროსი. არადა, თავის დროზე, ორივე დსთ-ში გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ გადადგნენ პოსტებიდან.

ახალი სახეა ბატონი ნადარეიშვილი. არადა, ცოტა ხნის წინათ, იგი რადიკალური ოპოზიციის მანტიას იზომავდა, რეალურად კი, როგორც ჩანს, მხოლოდ საკუთარ ფასს ზრდიდა. ამ აჯაფსანდალს (ალბათ, ისევ საზამთრო სჯობდა) დაემატა ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე. იგი პროდასავლური კაციაო, ამბობენ. არადა, მისი სახელმწიფო მინისტრობის დროინდელ პრესას თუ გადავხედავთ, ბატონ ვაჟას, რომელიც ელჩიც იყო რუსეთში და ახლო კავშირები აქვს იქაურ წრეებთან, უფრო პრორუსულობას აბრალებდნენ. დაბრალება იქით იყოს და ლორთქიფანიძის დასავლურ ორიენტაციაზე, ყოველ შემთხვევაში დღემდე, მხოლოდ მისი პარტიის სახელი, ქრისტიან-დემოკრატიული მიუთითებს, ხოლო რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტის მიმართ რომ დიდი სიმპათიები არ ექნება, ნამდვილად გვჯერა. ამას მისი და ბატონი ბადრის მეგობრობით დავასკვნით.

ახლა ბლოკში ახალი სახეების გამოჩენის ჩემეულ პროგნოზს შემოგთავაზებთ. ამასწინათ მოვისმინე, რომ საქართველოს ერთიანი კომუნისტები ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებიან. მართლაც, რა იქნება, თუ გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე ბლოკში ახალი სახის როლს შეასრულებს? ბოლო წლებში ბევრი ვინმე შეიწყალეს და იქნებ იგორის ამნისტიაც მოგვესწრო არჩევნებამდე და ბლოკში (უკაცრავად, კიდობანში) ჩაგვესვა.

ამ დღეებში, თურმე, ბატონი კიტოვანი ბრუნდება (თუ უკვე დაბრუნდა) საქართველოში. ამავე დღეებში ისრაელიდან გიგა გელაშვილის ექსტრადიცია მოხდება. ჰოდა, ხაჩიშვილის "დათვებთან" ერთად, მათთვისაც უნდა მოიძებნოს თბილი ადგილი, სადმე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სავარძლების ახლოს. და ბოლოს, სვანეთში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის მიზანიც, ვგონებ, არც მეტი, არც ნაკლები, ბლოკისათვის ახალი სახეების მოგროვება და "ფირალი სვანების" სახელით გაწევრიანება უნდა იყოს.

### მოწოდება მოსახლეობას: მხარი დავუჭიროთ პრეზიდენტის გეგმას!

გახსოვთ, ალბათ, ადრე პრეზიდენტთან თბილი ადგილისათვის პარტიები ერთმანეთს ეცილებოდნენ. იყო შიდა ჭიდილი მოქალაქეთა კავშირში, მოქალაქეთა კავშირის მეტოქეობა ვერ შეძლო რჩეულიშვილმა და დროებით "პატარა ბაბუთი" დაკმაყოფილდა. დროდადრო ედპ-საც სწყუროდა შევარდნაძესთან ახლოს დგომა. ანუ საქართველოს პრეზიდენტს ყოველთვის ჰქონდა საშუალება, აერჩია და ირჩევდა კიდეც. ახლა კი იგი უარს არავის ეუბნება. არავის ეგონოს, რომ არჩევის საშუალება ან გარჩევის უნარი დაჰკარგვოდეს პრეზიდენტს. მავანი (პრეზიდენტის მაძაგებელი) იტყვის, რომ მას მხოლოდ საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება სურს, დემოკრატობანას თამაშს შეეშვა და საკუთარი ხელისუფლების რეალური სახე დაგვანახაო. მე კი ერთი ანეკდოტი მახსენდება, რომლის გმირი ჩასაძირად განწირულ გემზე იმყოფება და ღმერთს ჰპირდება, რომ, გადარჩენის შემთხვევაში, გამოსწორდება და სინდისიერ ცხოვრებას დაიწყებს. მას ღმერთის ხმა ამცნობს, რომ დახმარების იმედი ტყუილად ნუ ექნება, რადგან გემის ათას მგზავრს უფალმა ძლივძლივობით მოუყარა ერთად თავი. ასე რომ, მე მჯერა ჩვენი პრეზიდენტისა და მისი მამულიშვილური ჩანაფიქრისა, შექმნას ქართული ნოეს კიდობანი, მოაშოროს მისი მკვიდრნი პოლიტიკას (ოკეანეში ჩახრჩობა არაჰუმანური იქნებოდა) და ამით გადაარჩინოს საქართველო. საქართველოს მოქალაქენო, მოგიწოდებთ, მხარი დავუჭიროთ საქართველოს პრეზიდენტის გეგმას, მივიდეთ არჩევნებზე და ხმა არ მივცეთ ბლოკს "ახალი საქართველოსათვის!"

# ძალზე ცოტას სჯერა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება

საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია "გორბიმ", ქვეყნის განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის სულ უფრო მცირე ნაწილს სჯერა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება.

1995 წელს მოსახლეობის თითქმის ნახევარს მიაჩნდა, რომ ქვეყანა სწორად ვითარდებოდა. 1996 წელს ასე ფიქრობდა მოსხლეობის 39 პროცენტი, 2003 წელს კი ეს მაჩვენებელი 5 პროცენტამდე დაეცა.

როგორც პრესკონფერენციაზე "გორბის" დირექტორმა მერაბ ფაჩულიამ განაცხადა, გამოკითხვის შედეგების თანახმად, 10-დან 9 გამოკითხული (91 %) მიიჩნევს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა და მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი ყოველთვის მაღალი იყო, წელს მან კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

მისივე თქმით, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს - 53 პროცენტს ძველი სისტემა - კომუნიზმი მოენატრა, რადგან მიაჩნია, რომ იმ დროს უკეთესად ცხოვრობდა. მოსახლეობის 19 პროცენტი კი საწინააღმდეგო აზრისაა და მიიჩნევს, რომ ახლა უკეთ ცხოვრობს.

"კომუნიზმის კრახისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგაც, საქართველოში ცხოვრების დონე სულ უფრო და უფრო უარესად აღიქმება. ყველაზე დაბალ მაჩვენებელს ცხოვრების დონემ 2002 წლის გამოკითხვებში მიაღწია. 2003 წლის აგვისტოს მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი დღევანდელი ცხოვრების დონეს დაბალს უწოდებს. ცხოვრების დღევანდელი დონით მხოლოდ 6 პროცენტია კმაყოფილი,"- აღნიშნა ფაჩულიამ.

გამოკითხვის დროს რესპოდენტთა ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მათი ცხოვრების დონე გაუარესდა. მოსახლეობის 23 პროცენტი ოპტიმისტურად არის განწყობილი და სჯერა, რომ მომავალი ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრების დონე გაუმჯობესდება. 20 პროცენტს მიაჩნია, რომ იგი გაუარესდება. 31 პროცენტი კი თვლის, რომ არანაირ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

პრობლემების სიმრავლისა და მდგომარეობის სიმძიმის მიუხედავად, გამოკითხულთა უმრავლესობა - 66 პროცენტი მიიჩნევს, რომ დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა.

ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად რესპოდენტებმა უმუშევრობა, სიღარიბე, ეკონომიკური სიძნელეები, კორუფცია, ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური არასტაბილურობა, დაბალი შემოსავალი, დანაშაული, მაღალი ფასები და მომავალი არჩევნების გაყალბების საშიშროება დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ მომავალი არჩევნების გაყალბების საშიშროება ამ პრობლემათა ნუსხაში პირველად მოხვდა. **ინტერ-პრესი**

# არასამთავროები დავით უსუფაშვილის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ წერილზე გამოხმაურება გახლდათ. პარლამენტართა გამოხშირვის ინიციატორი "მიუკერძოებელ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია" რეფერენდუმისადმი ამგვარ მიდგომას არ მოელოდა. **"ჩვენ წინააღმდეგობას პოლიტიკური პარტიებისგან ველოდებოდით, ძალიან საწყენია, რომ ნეგატივი ისეთი პროფესიონალი იურისტისგან წამოვიდა, როგორიც დავით უსუფაშვილია,"** – აღნიშნა გუშინდელ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ. მისი აზრით, პოლიტიკოსები "კარგად ჩაეჭიდნენ" უსუფაშვილის სტატიაში მოყვანილ არგუმენტებს. უსუფაშვილს ამ არგუმენტების გამეორება გუშინაც მოუხდა. მისი თქმით, რეფერენდუმის შესახებ ორგანული კანონის 28-ე მუხლის თანახმად, რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან. რეფერენდუმის შედეგები საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე ადრე გამოქვეყნდება. ანუ იმ დროისთვის, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია 235 დეპუტატს ცნობს, რეფერენდუმის გადაწყვეტილება ამგვარი სტატუსით მხოლოდ 150 პირის არსებობას მიიჩნევს შესაძლებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტს 85 "ზედმეტი" დეპუტატი ეყოლება, რაც მთელი საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმაციას საფუძველს აცლის. უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ ამ უზუსტობას აუცილებლად გამოიყენებენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი განაწყენებული ძალები, რომლებიც აუცილებლად დასვამენ კითხვას: ვინ არის ის 235 ადამიანი, რომელიც პარლამენტარობას იბრალებს, მაშინ როცა პარლამენტართა რიცხვი, ხალხის ნების თანახმად, მხოლოდ 150 უნდა იყოს. უსუფაშვილი არ გამორიცხავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში "დაჩაგრულმა" ძალებმა ამ მოტივით ხალხი ქუჩაში გამოიყვანონ.

უსუფაშვილის არგუმენტებს რეფერენდუმის ინიციატორი არასამთავრობოები ასეთ არგუმენტებს უპირისპირებენ: **"სად იყავით მაშინ, როდესაც ჩვენ ხელმოწერებს ვაგროვებდით, რატომ არ გვითხარით თქვენი მოსაზრება. გული მწყდება, რომ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ხალხის ნების პროკურორებად იქცნენ და არა ადვოკატებად."** კაკაბაძე მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, სამართლებრივ ასპექტებზე მეტად, პოლიტიკურ მუხტს ატარებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წამოწყებასთან დაკავშირებით უსუფაშვილი სასამართლოში სარჩელის შეტანას არ აპირებს, რადგან მიიჩნევს, რომ საკითხის მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით გადაწყვეტა ჯერ კიდევ შესაძლებელია. მისი თქმით, გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა შეიცვალოს სარეფერენდუმო კითხვის ფორმულირება და მკაფიოდ უნდა იქნას მითითებული, რომ დეპუტატთა რიცხვის შემცირება მხოლოდ 2003 წლის შემდეგ დანიშნულ არჩევნებს შეეხება.

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში.
დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

# პრესტიჟული მედლები პრესტიჟული ოლიმპიადიდან

*მიმდინარე წლის 15 - 25 აგვისტოს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ქ. კენოშაში, ვისკონსინის უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარებულ ინფორმატიკის მოსწავლეთა მე-15 მსოფლიო ოლიმპიადაში, რომელშიც 77 ქვეყანა მონაწილეობდა.*
*ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის ნაკრები წარდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი, რევაზ ხურცილავა - ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლეები; ზვიად მეტრეველი, მიხეილ ამაშუკელი - თბილისის დემირელის სახ. კერძო კოლეჯის მე-8 კლასის მოსწავლეები; გია გვარამია - პროფესორი, გუნდის უფროსი მწვრთნელი; გიორგი მანდარია - გუნდის მწვრთნელი.*

გია გვარამია
განათლების სამინისტროს გაერთიანება "ინფორმატიკის" გენერალური დირექტორი, პროფესორი

გიორგი მანდარია
განყოფილების ხელმძღვანელი

წლევანდელი ოლიმპიადა, წარმოდგენილი ამოცანების მიხედვით, განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

ნაკრების წევრებმა – **ქუთაისელმა ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილმა და თბილისელმა ზვიად მეტრეველმა მე-15 მსოფლიო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს**.

ამ ოლიმპიადებზე ნებისმიერი სინჯის მედლის მოპოვება რთულია და პრესტიჟულიც. ამიტომაცაა, რომ ინფორმატიკის ოლიმპიადებზე არამარტო გამარჯვებულ, არამედ მონაწილე მოსწავლეებსაც უგამოცდოდ ღებულობენ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოშიც და უცხოეთშიც, ხოლო შემდეგ სიამოვნებით იღებენ სამუშაოდ მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ფირმებში. ასეთი ახალგაზრდები კი უკვე საკმაოდ ბევრია (ერთ-ერთ მათგანს, 1992 წლის დსთ-ს ქვეყნების ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელს, 26 წლის გიორგი გიოშვილს ჩვენ ამ ოლიმპიადაზე ყოფნის დროს შევხვდით. იგი ქალაქ ჩიკაგოში ერთ-ერთი ცნობილი ფირმის წამყვანი თანამშრომელია).

ოლიმპიადებში მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება, ეს ცვლილებები კი, ხშირ შემთხვევაში, ჩვენთან დაგვიანებით აღწევს. ოლიმპიადაზე ხდება სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ახალი კავშირების დამყარება და ძველი კავშირების განმტკიცება, გამოცდილების გაზიარება, მწვრთნელების ოლიმპიადის გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების და ამ სფეროში მომხდარი სიახლეების ოპერატიულად გაცნობა და ა.შ. ყოველივე ამის გარეშე, აღებული ტემპი დაიკარგება და ჩამორჩენა თვალში საცემი გახდება, რის ანაზღაურებასაც შეიძლება რამდენიმე წელიწადი დასჭირდეს.

სამწუხაროდ, წელს ვერ მოხერხდა ნაკრების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება, რის გამოც, ნაკრების გამგზავრების საკითხი ბოლო დღემდე ბეწვზე ეკიდა. თუმცა, ოლიმპიადაზე გუნდის სრული შემადგენლობით გამგზავრება მაინც შეუძლებელი გახდა. ჩვენს ქვეყანაში არსებული სიძნელეების მიუხედავად, პედაგოგებისა და მწვრთნელების პროფესიონალიზმისა და ენთუზიაზმის, ასევე, მოსწავლეთა უდიდესი მონდომების ხარჯზე უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ინფორმატიკაში სტაბილურად მაღალ შედეგებს აჩვენებს. კერძოდ, 2000 წელს ჩინეთში, ქ. პეკინში ჩატარებულ მსოფლიოს მე-12 ოლიმპიადაზე გუნდის წევრმა, თბილისელმა მოსწავლემ არჩილ ცისკარიძემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა; 2001 წელს ფინეთში, ქ. ტამპერეში, მსოფლიოს მე-13 ოლიმპიადაზე, ასევე თბილისელმა მოსწავლეებმა - არჩილ ცისკარიძემ და ზვიად მეტრეველმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ხოლო 2002 წელს სამხრეთ კორეაში, ქ. იონგ-ინში მსოფლიოს მე-14 ოლიმპიადაზე ქუთაისელმა მოსწავლემ ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილმა და თბილისელმა მოსწავლემ სანდრო თარხნიშვილმა, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. სწორედ ამ მიღწევების ლოგიკური გაგრძელება იყო წლევანდელი წარმატებაც.

ჩვენი მოსწავლეების მსოფლიო დონის ინტელექტუალურ პაექრობაში მიღწეული წარმატებები ამაღლებს საქართველოს პრესტიჟს საერთაშორისო არენაზე. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში სახელმწიფო, საქველმოქმედო ორგანიზაციები თუ ქართველი ბიზნესმენები მეტ ყურადღებას გამოიჩენენ ამ სფეროში მოღვაწე პედაგოგებისა და მოსწავლეების მიმართ, რათა მათ კიდევ უფრო ღირსეულად წარმოაჩინონ მსოფლიო არენაზე საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი. მეტ ყურადღებას და ფინანსურ თანადგომას იმსახურებს, ასევე, რესპუბლიკური ოლიმპიადების ჩატარების და ნაკრების მომზადების პროცესი.

გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ "ჩაღლარის" საქართველოში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობას, ქ. ქუთაისის მერიას, ფონდ "საქართველოს ეკონომიკურ ფორუმს", ავსტრიის ავიახაზების წარმომადგენლობას საქართველოში, ავიაბილეთების სააგენტო Jet Travel-ს ნაკრების გამგზავრებაში გაწეული დახმარებისათვის.

# ენერგეტიკული საზოგადოება საბითუმო ბაზრის წინააღმდეგ გამოდის

*გუშინ საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების მესამე ყრილობა გაიმართა, სადაც საზოგადოების თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი ენერგოსისტემაში ბოლო ოთხი წლის მანძილზე მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ რეფორმას დაუპირისპირდა და, როგორც ყოველთვის, დარგში უცხოური მენეჯმენტისა თუ ინვესტიციების შემოსვლის წინააღმდეგ გამოვიდა.*

მაია ურუშაძე

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ხელახალი რესტრუქტურიზაციის საკითხი წამოწია საქართველოს ენერგეტიკული საზოგადოების თავმჯდომარემ მირონ ფირცხელანმა. მისი განცხადებით, ენერგეტიკოსები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ელექტროენერგიის მაგენერირებელმა ობიექტებმა, ასევე, ელექტროგადაცემამ და დისპეტჩერიზაციამ დენი საბითუმო ბაზრის გვერდის ავლით, პირდაპირი ხელშეკრულებების წესით უნდა გაყიდონ. ფირცხელანის შეფასებით, ამისათვის საჭიროა, რომ ამ ორგანიზაციებმა საბითუმო ბაზრის წევრობაზე უარი განაცხადონ. ფირცხელანი მიიჩნევს, რომ ეს ელექტროენერგიის ტარიფსაც დაარეგულირებს.

შეგახსენებთ, რომ საბითუმო ბაზარი თავიდანვე ელექტროენერგეტიკულ სექტორში ტარიფის ოპტიმიზაციის მიზნით შეიქმნა. საქმე ის არის, რომ ზამთარში, როდესაც ჰიდროენერგიის დეფიციტია, ქვეყანა ელექტროენერგიას თბოსადგურზე – თბილსრესზე გამოიმუშავებს, თბოენერგია კი შედარებით უფრო ძვირი ღირს. საბითუმო ბაზრის არსებობა იძლევა საშუალებას, ელექტროენერგიის დისტრიბუტორებმა როგორც ჰიდროსადგურებზე გამომუშავებული იაფი, ასევე თბოსადგურზე გამომუშავებული ძვირი ენერგია ბითუმად შეისყიდონ.

## "საოჯახო ტოტოს" მომავალი გათამაშების კოეფიციენტთა ცხრილი

**იმ შემთხვევაში თუ ჯეკპოტი არ გათამაშდა, ის მოთამაშე, რომელიც პირველი შეავსებს ბარათს სვლის კოეფიციენტთან ერთად მიიღებს დამატებით 5000 კოეფიციენტს**

ლიცენზიის ნომერი: 01-7/982

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25000 | 46 | 1500 |
| 16 | 25000 | 47 | 1200 |
| 17 | 25000 | 48 | 1000 |
| 18 | 25000 | 49 | 700 |
| 19 | 25000 | 50 | 500 |
| 20 | 25000 | 51 | 300 |
| 21 | 25000 | 52 | 200 |
| 22 | 25000 | 53 | 100 |
| 23 | 25000 | 54 | 80 |
| 24 | 25000 | 55 | 70 |
| 25 | 25000 | 56 | 60 |
| 26 | 20000 | 57 | 50 |
| 27 | 19000 | 58 | 40 |
| 28 | 18000 | 59 | 30 |
| 29 | 17000 | 60 | 25 |
| 30 | 16000 | 61 | 20 |
| 31 | 15000 | 62 | 18 |
| 32 | 14000 | 63 | 16 |
| 33 | 13000 | 64 | 14 |
| 34 | 12000 | 65 | 12 |
| 35 | 11000 | 66 | 10 |
| 36 | 10000 | 67 | 9 |
| 37 | 9000 | 68 | 8 |
| 38 | 8000 | 69 | 7 |
| 39 | 7000 | 70 | 6 |
| 40 | 6000 | 71 | 5 |
| 41 | 5000 | 72 | 4 |
| 42 | 4000 | 73 | 4 |
| 43 | 3000 | 74 | 3 |
| 44 | 2500 | 75 | 3 |
| 45 | 2000 | 76 | 2 |

# მომავლის იმედით

### ნამდვილი ამბავი

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს, რომლებსაც ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ. დღევანდელი ამბავის გმირი სოფიკო ფოფხაძეა.*



*ჭერჭერობით პატარა თამარის სახლი დედის უბეა.*

33 წლის სოფიკო ფოფხაძეს ორი შვილი ჰყავს: წელიწადნახევრის თამარი და ოთხი თვის მარიამი. ქ-ნი სოფიკო გაცილებულია ქმარს, რომელიც, მისი თქმით, სულ სცემდა. "ორსულად რომ ვიყავი, საშინლად მირტყამდა",- ტკივილით იხსენებს იგი.

სოფიკო ფოფხაძე ნახალოვკაში, მამის ბინაში ცხოვრობდა, მეორე ბავშვზე რომ იყო ფეხმძიმედ, ქმარს მაშინ გასცილდა. სამშობიაროდან გამოსულს სახლი, რომელიც გარდაცვლილმა მამამ უანდერძა, გაყიდული დახვდა. სოფიკოს თქმით, ძმამ ისარგებლა მისი სახლიდან წასვლით. დედა და ორი შვილი ქუჩაში უსახლკაროდ დარჩნენ. დამხმარე არავინ ჰყავდათ. დედა იძულებული გახდა, საპატრიარქოს დახმარებით, უფროსი გოგონა, ნუცუბიძის ქუჩაზე, ჩვილ ბავშვთა სახლში მიეყვანა.

სოფიკომ და პატარა მარიამმა კი რამდენიმე თვე ჯიქიას ქუჩაზე, მოხუცთა თავშესაფარში გაატარეს. ახლა იქიდანაც გამოასახლეს; მათ ოთახში სხვა, სკლეროზით დაავადებული მოხუცი ქალი დააბინავეს. "ოთხი დღე ვიღაცის მეზობელთან ვათენებდით",- ამბობს სოფიკო.

უმცროს ქალიშვილს დედისაგან ეპილეფსია დაჰყვა, პატარა მარიამი დროგამოშვებით კრუნჩხვაში ვარდება; ასეთი შეტევით მიიყვანეს ბავშვთა II საავადმყოფოში. "ფინლეფსინი არ მქონდა და იმიტომ მოუვიდა შეტევა",- ამბობს დედა. მარიამის დაავადებას თან შარდის შეკავება დაერთო, რაც ბავშვის მდგომარეობას მეტად ამძიმებს. სოფიკო და მარიამი ახლაც საავადმყოფოში არიან; ბავშვს მკურნალობა სჭირდება, ფული კი ამისთვის არ აქვთ. დედა მარიამს ძუძუს აწოვებს, თვითონ კი, შეიძლება ითქვას, არ იკვებება.

სოფიკოს თავის შვილთან თამართან, პატარა მარიამის თანხლებით ბავშვთა სახლში არ უშვებენ. თუმცა, ყოველდღე ურეკავს და იმით მშვიდდება, რომ ბავშვი იქ კარგად არის. ამბობს, - კვირაში ორჯერ მაინც ვახერხებ და ვნახულობ ჩემს შვილსო.

ერთხელ პატარა თამარსაც ჰქონია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ბავშვი რამოდენიმე თვის იყო დიზინტერია რომ დაემართა, იქ სოფიკო ასოციაცია "საფეხურების" წარმომადგენელს თიკა ციციშვილს შეხვდა. ბავშვი მძიმედ იყო. თიკა მას მკურნალობაში დაეხმარა და ხანდახან სოფიკოსთვის საჭმელიც მიჰქონდა.

სოფიკო ფოფხაძეს ქალაქის მერიისთვის თხოვნით მიუმართავს, რომ ისინი სულ პატარა ბინით უზრუნველვყოთ. მერიაში განცხადების დაწერა მოსთხოვეს. სოფიკო ამბობს, რომ განცხადებას საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე დაწერს. "ბინა რომ მექნება, ნოტარიუსში ხელს მომიწერენ და მერე მე, თამარი და მარიამი ერთად ვიცხოვრებთ",- მომავლის იმედი აქვს უსახლკარო დედას.

***P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის- "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:***
**stagesngo@hotmail.com**

ასოციაცია "საფეხურები"

# 150.000 ამერიკული დოლარი სამართლიანი არჩევნებისთვის

*ცხრამეტმა რეგიონულმა მედია-კომპანიამ გუშინ საჯაროდ განაცხადა, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მხრიდან მათზე ზეწოლა ამჯერად შეუძლებელი იქნება. მათ პირობა დადეს, რომ დარჩენილ თვენახევარში ამომრჩეველს არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას ობიექტურად მიაწვდიან და 2 ნოემბრის შემდეგაც მათ სამსახურში დარჩებიან. ამის თქმის საფუძველს ხსენებულ მედია-ორგანიზაციებს საერთაშორისო ფონდების მხრიდან მიღებული ფინანსური მხარდაჭერა აძლევს.*

ეთერ მამულაშვილი

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეგიონებში ეკონომიკური ბერკეტებით დამოუკიდებელ მედიაზე ზემოქმედება დღეს ძალიან იოლია. ამ ბერკეტის ამოქმედებას ზოგიერთი პოლიტიკური პარტია საკუთარი ინტერესების გასატარებლად არჩევნების წინ რამდენიმე თვით ადრე იწყებს და, როგორც ამბობენ, მიზანსაც მარტივად აღწევს. სხვათა შორის, ამას მედია-კომპანიის რამდენიმე წარმომადგენელიც არ უარყოფს.

სწორედ ამიტომაც, სამი უმსხვილესი საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლებმა, საქართველოში სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად, მიმდინარე წლის ზაფხულში რამდენიმეათასიან გრანტზე კონკურსი გამოაცხადა. საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს, ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველოსა" და "ევრაზიის" ერთობლივი გრანტი (საერთო ოდენობა 150 ათას ამერიკულ დოლარს აღემატება) გუშინ შვიდმა ტელეკომპანიამ, ექვსმა რადიოსადგურმა და ამდენივე გაზეთმა, გაინაწილა. თითოეულ მათგანს დამოუკიდებელ მედია-ორგანიზაციად მოიხსენიებენ. ისინი რეგიონებში მოღვაწეობენ. ყველაზე მეტი - 17.792 ათასი დოლარი, საგარეჯოს ტელევიზიას, "თვალს" ერგო, ყველაზე ცოტა - 3.855 დოლარით ხაშურში გამომავალი გაზეთი "ცოცხალი" დაჯილდოვდა.

გრანტის მიმღებებს შორის იყო ქუთაისში მოღვაწე ცნობილი რადიოსადგური "ძველი ქალაქი", რომელზედაც ზეწოლა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ბოლო ორ-სამ წელიწადში განსაკუთრებულად იგრძნობოდა. რამდენიმე თვის წინ მათი ოფისი დღემდე დაუდგენელმა პირებმა დაარბიეს, რითაც სერიოზული მატერიალური ზიანი მიაყენეს რადიოსადგურს. დაზიანდა აუდიოაპარატურა, რის გამოც, "ძველმა ქალაქმა" შეწყვიტა მაუწყებლობა. როგორც რადიოსადგურის ხელმძღვანელობამ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, ხსენებული მიზეზების გამო, 12.000-დოლარიანი გრანტი მათთვის ორმაგად სასიხარულო იყო. **"ამით, პირველ რიგში, რადიოსადგურისთვის საჭირო ახალ ტექნიკას შევიძენთ. ბუნებრივია, ჩვენს უმთავრეს ვალდებულებასაც შევასრულებთ. რადიომსმენელს ამომწურავ და ობიექტურ ინფორმაციას მივაწვდით 2 ნოემბრის არჩევნების შესახებ",** - გვითხრა "ძველი ქალაქის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ირაკლი მაჩიტიძემ.

საკუთარი თავის წარმოსაჩენად თითოეული პოლიტიკური პარტიისა და დეპუტატობის კანდიდატისთვის თანაბარი შესაძლებლობის მიცემა, ხმის მიცემის პროცედურისა და გაყალბებისგან თავდაცვითი მექანიზმების შესახებ ამომრჩევლის დეტალური ინფორმირება და, რაც მთავრია, მოსახლეობის დარწმუნება, რომ თითოეული მოქალაქის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს - ესაა ის ძირითადი მოთხოვნები, რასაც დონორი ორგანიზაციები კონკურსში გამარჯვებულებისგან მოელიან.

# საქართველოს ეროვნული უშიშროების მდივნის, ბატონ თედო ჯაფარიძის სახელზე ღია წერილის პასუხად

პირველი გვერდიდან

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა საერთაშორისო სისტემის ტექტონიკა მნიშვნელოვნად შეცვალა, რაც საქართველოზეც აისახა და ამის გათვალისწინებით, უკვე შემუშავებულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი, სწორედ ბ-ნი თ.ჯაფარიძის მეთვალყურეობით. მისი ხელმძღვანელობით კონცეფციის პროექტზე ინტენსიურად მუშაობდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლები და ქართველი ექსპერტები აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა უწყებებიდან, იმავე ISAB-ის ექსპერტებთან ერთად, რომლებმაც პროექტი უკვე მოიწონეს კიდეც. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რომელ "გეოპოლიტიკურ ორბიტას" ირჩევს ბ-ნ თ.ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შემუშავებული კონცეფციის პროექტში საქართველო.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წერილობითი სახით დოქტრინის არქონა არ ნიშნავს სტრატეგიისა და პოლიტიკის არქონას. ისეთ ქვეყანას, როგორიც გაერთიანებული სამეფოა (დიდი ბრიტანეთი), საერთოდ არ გააჩნია კონსტიტუცია, მაგრამ განა ამ სახელმწიფოს არა აქვს ან არ ჰქონია თავისი პოლიტიკა? ეს ისე, მარქსისეული ბაზისისა და ზედნაშენის ყურით მოთრეული არგუმენტის პასუხად.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად ბ-ნ თ.ჯაფარიძის დანიშვნის თარიღთან დაკავშირებით, ბ-ნ ძიძიგურს მეხსიერება კიდევ არაერთხელ ღალატობს. ამ მხრივ, უპირველესად აღსანიშნავია შეკითხვა, თუ რა პოზიცია დააფიქსირა ბ-მა თ.ჯაფარიძემ 2001 წლის დეკემბერში - პერიოდში, როცა იგი ისევ და ისევ აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ - პოლკოვნიკ ნუგზარ ქევხიშვილისათვის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების თაობაზე. ბ-ნ ძიძიგურს ეს "ბრალდება" მოჰყავს უმთავრეს ფაქტად, რომლითაც იგი ცდილობს, დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ, თურმე, "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" ჩავარდნის საშიშროების წინაშეა; რომ საქართველო, თითქოსდა, არ ასრულებს თავის მხრივ აღებულ ვალდებულებებს; რომ ადგილი აქვს "შეგნებულ მტრობას საკუთარი თავდაცვის სისტემისა;" რომ ხდება "აღნიშნულ სისტემაში რეფორმების ხელოვნურად შეფერხება, უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების უგულებელყოფა, კორუმპირებულ ჩინოვნიკთა წახალისება" და ა.შ.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი მისი ხელმძღვანელის მეთაურობით არანაირად არ გაურბის პასუხისმგებლობას იმ ვითარების გამო, რომელიც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაშია შექმნილი. მაგრამ ბ-ნი ძიძიგურის წერილში გამოთქმული ბრალდებები ნამდვილად არ ასახავს ობიექტურად არსებულ ვითარებას. იგივე "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" (რომელსაც საფუძველი, სხვათა შორის, ვაშინგტონში ჩაეყარა, იმჟამინდელი საქართველოს ელჩის აქტიური მონაწილეობით) მიმდინარეობა, აშშ-ს მხრიდან უაღრესად დადებითად ფასდება და, აქედან გამომდინარე, იგი ჩაშლის პირას არ დგას. ასევე მიუღებელია ბრალდებები იმის თაობაზე, რომ უცხოეთში განათლებამიღებული ქართველი ოფიცრების უმრავლესობა საქართველოს არმიაში არ მსახურობს. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ოფიცრები (ისევე, როგორც ბიუჯეტზე დამოკიდებული ყველა სახის სახელმწიფო მოხელე) მაღალი ანაზღაურებით დაკმაყოფილდეს. ამიტომაც, უცხოეთში განათლებამიღებული სამხედროების ნაწილი საქართველოში სამსახურისგან თავს იკავებს, ისევე, როგორც თავს იკავებენ საქართველოში ჩამოსვლისაგან უცხოეთში განათლებამიღებული ჩვენი ეკონომისტები, იურისტები, ექიმები და ა.შ. არასახარბიელო ვითარება არა მხოლოდ ქართულ არმიაშია შექმნილი; სამწუხაროდ, მსგავს სურათს თითქმის ყველა სფეროში ვხედავთ. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, მიუხედავად არსებული ობიექტური სირთულეებისა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის საკადრო პოლიტიკა ამ კონტინგენტის მიმართ უფრო დინამიური და მიზანმიმართული შეიძლება გახდეს.

ბ-ნი ძიძიგური მაშინაც კარგავს დროის შეგრძნებას, როდესაც 90-იანი წლების დასაწყისის "საუკეთესო" ტრადიციებში "სუკის აგენტებზე" იწყებს საუბარს. ვფიქრობთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტში მუშაობა საკმარისი არგუმენტი არაა ამა თუ იმ ადამიანზე ხაზის გადასასმელად. მით უმეტეს, რომ ბ-ნი ძიძიგურის მიერ დასახელებული პირები საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში დგანან დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, როგორც ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ისე მშვიდობიან აღმშენებლობაში მონაწილეობით.

წერილში კიდევ მრავალი საკითხია წამოჭრილი. ავტორი იხსენებს პროგრამას ქართულ სამხედრო ნაწილებში მოძღვრების (კაპელანების) ინსტიტუტის შემოღების შესახებ. საინტერესოა, საიდან აქვს ბ-ნ ძიძიგურს ინფორმაცია, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ მასალები ბ-ნ თ.ჯაფარიძის "სეკრეტერშია გამოკეტილი?" ცნობისათვის, ამ საკითხზეც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა და თუკი ვინმე მის გადაჭრაზე ფიქრობს, ეს სწორედ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია.

ბ-ნ თ.ჯაფარიძისადმი მიმართული ბრალდებების ქაოსში ადგილი მოეძებნა პოლიტიკური სპეკულაციის ტრადიციული თემას - აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების ყოფნას. ბ-ნ ძიძიგურს, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნისას კრემლთან ბრძოლისა და დასავლეთის ინტერესების გატარების შესაშური მაგალითი გვაჩვენა სამტრედიული ბლოკადის სახით (რითაც რუსეთის იმპერიას საქართველოს მაშინდელმა ეროვნულმა ხელისუფლებამ "დიდი ზარალი მიაყენა"), ალბათ, აქვს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გეგმა. ხოლო რკინიგზის ბლოკადით მიღებული გამოცდილება მას საკმარის კომპეტენციას აძლევს, რათა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში არსებულ ვითარებაზე მენტორული ტონით იმსჯელოს და დამნაშავეებსაც "დაემუქროს". ან იქნებ, ბ-ნმა ძიძიგურმა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ ვითარებაზე "კომპეტენტური" აზრი ამ სფეროს მავან ვაი-პროფესიონალთაგან მოისმინა, რომლებმაც თავიანთი "პროფესიონალიზმის" გამო (რომლის დონეზე მათი "კომპეტენტური" ბრალდებებიც მეტყველებს), სფეროს გარეთ ამოყვეს თავი და ახლა, უბრალოდ, განაწყენებული ხალხის პოზიციიდან გამომდინარე, ბინძურ თამაშებს ეწევიან.

ყველა საკითხი, იქნება ეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია თუ სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებიც ბ-ნმა ძიძიგურმა დააყენა, არ არის მხოლოდ ხელისუფლების საზრუნავი. ამ საკითხებზე მუშაობა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ურთულეს პროცესს. ამიტომ, ეროვნული უშიშროების საბჭო და მისი აპარატი მიესალმება ნებისმიერ საღ აზრს, თუნდაც ოპოზიციური ძალების მხრიდან, რომელიც წვლილს შეიტანს არსებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში. იგივე ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და სხვა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობისას, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციები და დებატები დამოუკიდებელ ექსპერტებთან, მათ შორის - ოპოზიციის წარმომადგენლებთან. სამწუხაროდ, ბ-ნ ძიძიგურს ამ დებატებში მონაწილეობა არც ერთხელ არ მიუღია.

*საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია სამი დღეა მკურნალობას გადის თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო სტაციონარში. კულუარული ინფორმაციით, მინისტრის ავადმყოფობის მიზეზი სტრესული მდგომარეობა გახდა, რასაც მისი გარემოცვა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული მზადებით ხსნის.

შეგახსენებთ, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის პროცესი მინისტრ კარტოზიასა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

განათლების მინისტრი მოვალეობის შესრულებას ორშაბათიდან შეუდგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ძველი და ისტორიული უბნების რეაბილიტაციის პროექტს ევროსაბჭო პირველ ეტაპზე 400 ათასი ევროთი დააფინანსებს. გუშინ თბილისის მერიაში ხელი მოაწერეს ევროსაბჭოსა და საქართველოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ამ პროექტის განხორციელებას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილიდან „თბილწყალკანალის" ბულაჩაურის სათავო ნაგებობას ელექტრომომარაგება შეუწყდა. შპს „თბილწყალკანალის" ინფორმაციით, ამის შედეგად სასმელი წყალი არ მიეწოდება გრიშაშვილის, დავითაშვილის, ლომთათიძის, ჯავის ქუჩებს და ხარფუხის დასახლების ნაწილს. ელექტროენერგიის შეწყვეტის გამო, გათიშული იყო ბახტრიონის სატუმბი სადგური, რის გამოც, მთელი დღის განმავლობაში სასმელი წყლის მიწოდება შეფერხებული იყო ვაკისა და მთაწმინდის უბნებში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მშობელთა ზრუნვას მოკლებული თბილისის სკოლა-ინტერნატების 12 აღსაზრდელი ვაჟი, კონკურსისა და გამოცდების გარეშე, კადეტთა კორპუსში ჩაირიცხა.

ამ აღსაზრდელთა ასაკი 14-15 წელია. აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან კვებითა და საცხოვრებელი პირობებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის ალექსანდრე ბეჟანიშვილის ცნობით, თბილისის მეტროპოლიტენში, სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი გვირაბებსა და სადგურებში, სადაც სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვანი დეფორმაციები და გვირაბის რღვევის აქტიური ზონები აღინიშნება, განსაკუთრებით - რუსთაველი-2-ვაზისუბნის ხაზზე, რომელიც რუსთაველის გამზირისა და მიმდებარე ქუჩების ქვეშ გადის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ყვარელი.** ყვარლის რაიონის სოფელ ნეკრესში ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სპეციალისტები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ. როგორც მუზეუმის დირექტორი ლევან ჭილაშვილი აცხადებს, არქეოლოგიური გათხრები IV საუკუნის ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევებზე მიმდინარეობს. ექსპედიცია 6 სექტემბერს დაიწყო და ამ მოკლე ხანში უკვე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი აღმოჩენები - ეკლესიის ნანგრევებქვეშ ადრეული ხანის ექვსპატრუქიან ბრინჯაოს ლამპას და გასანათებელ მოწყობილობას მიაკვლიეს.

ექსპედიცია მანამდე გაგრძელდება, ვიდრე სახელმწიფო მუზეუმს არქეოლოგიური კვლევისათვის საჭირო თანხა არ ამოეწურება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის ნანული ქაჩიბაიას განცხადებით, დედაქალაქის მასშტაბით გაზის მილების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 3 მლნ 900 ათასი ლარი ხელისუფლებამ, სარეაბილიტაციო სამუშაოების მწარმოებელი ფირმის ნაცვლად, საკუთარ მაჟორიტარ დეპუტატებს გადაურიცხა. იგი ინფორმაციის წყაროდ "პარლამენტის საფინანსო ჯგუფს" ასახელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლაში ცოფის კიდევ ერთი შემთხვევა აღინიშნა. ქუთაისში მცხოვრები მელაძეების ოჯახი სოფელ კვარშირში დასასვენებლად იმყოფებოდა, როცა მათი ბავშვი ძაღლმა დაკბინა. გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ძაღლი ცოფიანი იყო. ბავშვი მაშინვე ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურია. თერჯოლის ვეტერინარულმა სამსახურმა სოფელში ძაღლებისა და კატების ხელახალი აცრა დაიწყო. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

## კანკუნის სამიტი უშედეგოდ მიმდინარეობს

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კანკუნის შეხვედრა, ჯერჯერობით, უშედეგოდ მიმდინარეობს. მდიდარი ქვეყნები სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების შემცირებასა და საკუთარი ბაზრების გახსნას არ ჩქარობენ, ღარიბები კი უარს აცხადებენ განიხილონ ევროკავშირის წინადადება უცხოური ინვესტიციების თანაბარი დაცვის შესახებ.

წინასწარი შეთანხმებით, ეს საკითხები 2005 წლამდე უნდა გადაწყვეტილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნები იმუქრებიან, რომ მოლაპარაკებებს საერთოდ შეწყვეტენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი სწორედ აქეთ მიდის.

გუშინ კანკუნში შეკრებილ დემონსტრანტთა შორის სიმშვიდე იყო. სამხრეთ კორეელი ფერმერის თვითმკვლელობამ ყველა მათგანზე მძიმედ იმოქმედა.

მოლაპარაკებები კვირას დასრულდება. ექსპერტების თქმით, წარმატების შანსი დღითიდღე მცირდება.

## სიგარეტი წელიწადში 5 მილიონ ადამიანს კლავს

2000 წელს სიგარეტის წევისაგან 5 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, – განაცხადეს გუშინ ლონდონში ჰარვარდისა და ქუინსლენდის უნივერსიტეტების მეცნიერებმა.

გარდაცვლილთა სამი მეოთხედი მამაკაცია. სულ მსოფლიოში 1,1 მილიარდი მწეველია, რომელთაგან 930 მილიონი განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს.

სიგარეტი ადამიანებს, ძირითადად, გულისა და ფილტვების დაავადებებით კლავს.

მკვლევარების განცხადებით, სიგარეტის მსხვერპლთა დიდი ნაწილი განვითარებადი ქვეყნებიდანაა, სადაც თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანია არც ისე ძლიერია. სიგარეტის მწარმოებელი კომპანიები, რომლებსაც ბოლო დროს განვითარებულ ქვეყნებში პოზიციები ძლიერად შეერყათ, განვითარებად ქვეყნებში გადასვლას აპირებენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, 20-25 წლის შემდეგ, სიგარეტის მსხვერპლთა რიცხვი გაორმაგდება.

## უესლი კლარკი: დემოკრატების ახალი სახე?

ნატო-ს ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი უესლი კლარკი აცხადებს, რომ ერთ კვირაში მიიღებს გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. თუ იგი საარჩევნო რბოლაში ჩაერთო, კლარკი მეათე დემოკრატი კანდიდატი იქნება.

მართალია, კლარკი ამბობს, რომ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, მაგრამ ჟურნალისტებისათვის ცნობილია, რომ იგი, უკვე რამდენიმე თვეა, რაც მოლაპარაკებებს აწარმოებს პოტენციურ სპონსორებთან და მხარდამჭერებთან, ამჟამად კი უკვე საარჩევნო კამპანიის მენეჯერს არჩევს.

დემოკრატიულ პარტიაში ამჟამად დიდი დებატები მიმდინარეობს იმის შესახებ, შეძლებს თუ არა ვიეტნამის ომის ვეტერანი და კოსოვოს კამპანიის სარდალი დემოკრატების "ახალ სახედ" იქცეს.

მართალია, დემოკრატებს უკვე ცხრა კანდიდატი ჰყავთ, მაგრამ პარტიის წევრთა ორი მესამედი აცხადებს, რომ არც ერთ მათგანს არ უჭერს მხარს.

"ის (კლარკი) საკმაოდ განსხვავდება სხვა კანდიდატებისაგან და ეს საკმარისი იქნება დაკარგული დროის ასანაზღაურებლად," – ამბობს კეტი სალივანი, ნიუ-ჰემპშირელი დემოკრატების ლიდერი.

კლარკის ყველაზე ძლიერ მხარეს მისი სამხედრო წარსული წარმოადგენს. იგი ყველაზე უკეთ შეძლებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს ბუშს უსაფრთხოების საკითხებში, რაც პრეზიდენტის ძლიერ მხარედ ითვლება. თანაც, კლარკი ცნობილია, როგორც ერაყის ომის თანმიმდევრული მოწინააღმდეგე. ომის დროს იგი "სი-ენ-ენ"-ის სამხედრო ანალიტიკოსი იყო და ხშირად აკრიტიკებდა ადმინისტრაციას.

სხვა დემოკრატი კანდიდატები აღიარებენ, რომ რბოლაში კლარკის ჩართვა საარჩევნო კამპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს. რამდენიმე კანდიდატი ცდილობს, იგი ვიცე-პრეზიდენტობაზე დაიყოლიოს.

კლარკს, სხვა დემოკრატებთან შედარებით, ერთი უპირატესობაც აქვს: იგი სამხრეთიდანაა. ბოლო სამი დემოკრატი პრეზიდენტი: კლინტონი, კარტერი და ჯონსონიც სამხრეთიდან იყვნენ.

# ისრაელი: „არაფატი უნდა მოშორდეს„

პირველი გვერდიდან

პალესტინელებმა ისრაელის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებას მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით უპასუხეს. არაფატის ათასობით მომხრე რამალას რეზიდენციასთან შეიკრიბა, სადაც ისრაელის არმიის სპეცდანაყოფების მიერ ბლოკირებული არაფატი იმყოფება.

პალესტინის ახალმა პრემიერ-მინისტრმა აჰმედ კორეიმ, ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ის შეაჩერებს ახალი მთავრობის დაკომპლექტებას, რადგანაც უკანასკნელი მოვლენები მთელ რეგიონს მასობრივი არეულობით და დესტაბილიზაციით ემუქრება.

მხარდამჭერთა წინაშე მალე თავად იასირ არაფატიც გამოჩნდა. მან პალესტინელებს რეზიდენციის კიბეებიდან მიმართა და მათ დიდი ერი უწოდა. თანამემამულეთა მხარდაჭერით აღფრთოვანებული არაფატი პალესტინელებს ჰაეროვან კოცნებს უგზავნიდა. **“თქვენ მამაცი ხალხი ხართ, ჩემი საყვარელი ხალხი. აბუ ამარი აქ რჩება,”** - განაცხადა არაფატმა. აბუ ამარი კი მისი ძველი ფსევდონიმი იყო, რომელსაც ის არალეგალური ბრძოლის დროს იყენებდა. **“თქვენ შეგიძლიათ პასუხი გასცეთ ისრაელის მუქარას,”** - გაამხნევა მხარდამჭერები არაფატმა.

პალესტინის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებმა უკვე გააფრთხილეს ისრაელის მთავრობა, რომ თუკი ებრაელები მიღებული გადაწყვეტილების რეალურ განხორციელებას შეეცდებიან, ამას კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

მოძრაობა “ფათხმა,” რომელსაც იასირ არაფატი მეთაურობს, პალესტინელებს არაფატის რეზიდენციასთან ოცდაოთხსაათიანი მორიგეობისაკენ მოუწოდა, რათა ამით ისრაელის არმიის ქვედანაყოფების ნებისმიერ მცდელობას ხელი შეუშალონ.

აღსანიშნავია, რომ არაფატის სამშობლოდან გაძევების იდეა ისრაელში, უკვე რამდენიმე წელია, დღის წესრიგში დგას. ისრაელის მემარჯვენე პოლიტიკოსები, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ხელმძღვანელობით, დიდი ხანია, მის გაძევებას ითხოვენ. თუმცა, პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ამ ნაბიჯის გადადგმისაგან დიდი ხანი იკავებდა თავს. ამჯერად, არიელ შარონი თავის მოქმედებაში თავისუფალი აღმოჩნდა. ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ისრაელის პოლიტიკაში მკვეთრ შემობრუნებას ნიშნავს. ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ იასირ არაფატი მშვიდობის დამყარებას აბრკოლებს და სწორედ ამიტომ არის საჭირო მისი მოშორება.


იასერ არაფატი.

თუმცა, დადგენილებაში არ არის მითითებული, თუ როდის და როგორ შეასრულებს ისრაელი თავის გადაწყვეტილებას. ისრაელის არმიის სარდლობას უკვე დაევალა, არაფატის გაძევების ოპერაციის განხორციელებისათვის რამდენიმე ვარიანტი მოამზადონ.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში არ არის მითითებული, თუ რა განაჩენი აქვს გამოტანილი არაფატს. იქ მხოლოდ ერთი სიტყვა წერია: **“მოშორება.”** ცხადია, ეს ერთნაირი წარმატებით შეიძლება ნიშნავდეს, დეპორტაციას, იზოლირებას და ფიზიკურ ლიკვიდაციასაც. **“ის, რაც ჩვენ დღეს განვახორციელეთ, მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და არა ოპერაცია,”** - განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა. მას არ დაუკონკრეტებია, თუ რა სახის ოპერაცია განხორციელდება მთავრობის დადგენილების შესასრულებლად. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, თავად ისრაელის ხელისუფლებასაც არ აქვს გადაწყვეტილი, თუ როგორ მოეპყროს **“მშვიდობის მტერს.”**

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი სილვან შალო, არაფატის გაძევებას უჭერს მხარს. მის პოზიციას იზიარებს შაულ მოფაზიც. თუმცა, მთავრობის ზოგიერთი წევრი არაფატის იზოლაციის მომხრეა. **“სწორი გადაწყვეტილება იქნება, თუკი ჩვენ მას ცოცხალს დავტოვებთ, მაგრამ გამოვკეტავთ მუკატაში, გადავუჭრით ტელეფონს და დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებული გვეყოლება,”** - განუცხადა “ვაშინგტონ პოსტს” ისრაელის მთავრობის მაღალჩინოსანმა, რომელმაც ვინაობის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

დანარჩენი სამყაროსგან სრული იზოლირება არაფატმა ერთხელ უკვე გამოსცადა, როდესაც წელიწადნახევრის წინ, ის რამალაში - თავის რეზიდენციაში, რომელსაც მუკატა ეწოდება - ტელეფონის, შუქის და სასმელი წყლის გარეშეც კი დარჩა.

თუმცა, ისრაელის საზოგადოების გარკვეული ნაწილი უფრო რადიკალური ზომების გატარებასაც ითხოვს. ქვეყნის გავლენიანი გაზეთის “იერუსალიმ პოსტის” სარედაქციო სვეტში ნათქვამია, რომ **“ისრაელმა იასირ არაფატი უნდა მოკლას, რადგან მსოფლიო მას სხვა ალტერნატივას არ უტოვებს.”** გაზეთის რედაქცია აცხადებს, რომ არაფატი პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს ხელს უშლიდა ტერორიზმთან ბრძოლაში და არც ახალ პრემიერ-მინისტრს აჰმედ კორეის მისცემს რაიმეს გაკეთების შესაძლებლობას. **“ასეთ ვითარებაში პოპულარული ხდება არაფატის გაძევების იდეა, რომლის საწინააღმდეგოდაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ არაფატი ასეთ ვითარებაში მაინც საშიში იქნება, როდესაც მსოფლიოში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას მიიღებს.”**

არაფატის მოშორების გადაწყვეტილებამ უკვე ფართო გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

ისრაელის მთავრობის ამ განზრახვას პირველი, რასაკვირველია, ვაშინგტონი გამოეხმაურა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ასეთი ზომები ვითარების განმუხტვას ხელს ვერ შეუწყობს და შესაძლოა, არაფატს მსოფლიოში დიდი მხარდაჭერაც კი მოუპოვოს.

არაფატის მოშორების წინააღმდეგია ევროკავშირი და რუსეთიც.

თავისი პოზიცია დააფიქსირა ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმაც. მან ისრაელს გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებისაკენ მოუწოდა, რადგან არაფატი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ასე თუ ისე, წილი უკვე ნაყარია. არაფატს განაჩენი გამოუტანეს. თუ როგორ, როდის და რა სახით მოაშორებს ისრაელი არაფატს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, ამას, ალბათ, მალე ვიხილავთ.

MBG
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი
პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

იგივე ბანკი, ახალი სახელი, უკეთესი სერვისი

ემ-ბი-ჯი ბანკი ხდება პროკრედიტ ბანკი




ემბიჯი ეკუთვნის იმ ბანკების ჯგუფს, რომლებიც წარმატებით ეწევიან თავიანთ საქმიანობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რომლებიც ერთად ემსახურებიან 250,000 კლიენტს, ხოლო მათი აქტივების ღირებულება შეადგენს 800 მილიონ დოლარს. ეს ბანკები ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას 113 მილიონი მოსახლეობისაგან შემდგარ გაერთიანებულ ბაზარზე.

ყველა მიკროსაფინანსო ბანკი იმყოფება ერთი ჯგუფის მფლობელობაში და მასში შედიან აქციონერები წარმოდგენილი ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციებით, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკრო ინვესტიციების კომპანია.

ამ რეგიონში თავიანთი გეგმებისა და ინტერესის, ასევე ბანკების მზარდი ინტეგრაციის ნიშნად, აქციონერთა ჯგუფმა გადაწყვეტილება მიიღო ყველა ბანკის გაერთიანების შესახებ საერთო სახელითა და ლოგოტიპით: პროკრედიტ ბანკით

www.procreditbank.ge
info@procreditbank.ge

## ბერლუსკონი თავისას არ იშლის

იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი აგრძელებს თავისი "დაუვიწყარი" გამოსვლების სერიას. გუშინდელი ინტერვიუს დროს, მან კიდევ ერთხელ გააოგნა საზოგადოება. ჯერ იყო და, ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ იტალიელი მოსამართლეები "ანთროპოლიგიურად განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისაგან" და ისინი "გონებრივად განუვითარებელნი" არიან.

მოსამართლეებისა და პრემიერის ერთმანეთთან დამოკიდებულება, დიდი ხანია, საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ ბერლუსკონის ამ განცხადებას დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, განსხვავებით მეორისაგან, რომელსაც ნამდვილი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა.

კითხვაზე, როგორ შეადარებდა იგი სადამ ჰუსეინსა და ბენიტო მუსოლინის, ბერლუსკონიმ უპასუხა, რომ მუსოლინის არავინ არ მოუკლავს და იგი დამნაშავეებს მხოლოდ და მხოლოდ საშინაო გადასახლებაში "არდადეგებზე" გზავნიდა.


სილვიო ბერლუსკონი ხუმრობს.

ამ განცხადებამ პროტესტების მთელი ტალღა გამოიწვია. ისტორიკოსების განცხადებით, მართალია, მუსოლინი სტალინთან ან ჰიტლერთან ვერ მოვიდოდა, მაგრამ მას მილიონი კაცი მაინც ჰყავს იმქვეყნად გასტუმრებული. მისი მსხვერპლნი გახდნენ როგორც ბალკანეთის ქვეყნებისა და ეთიოპიის მცხოვრებნი, ისე იტალიელი ებრაელები და მუსოლინის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები.

ფაშისტური წარსული იტალიელთათვის ყველაზე დელიკატური თემაა. ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც წააგავს ფაშიზმის გამართლებას, ამ ქვეყანაში უმკაცრესი ტაბუ ადევს. თუმცა, პრემიერი ამ ტაბუს არად დაგიდევთ. რამდენიმე თვის წინ, ევროპარლამენტში პირველივე გამოსვლის დროს, მან გერმანელი დეპუტატი საკონცენტრაციო ბანაკის გუშაგს შეადარა. თუმცა, მოგვიანებით ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ იხუმრა.

იტალიის ებრაული სათვისტომოს თავმჯდომარემ თავის გუშინდელ კომენტარში განაცხადა, რომ მას ბერლუსკონისაგან არ უკვირს, უბრალოდ, დამწუხრებულია. განცხადება დაგმეს პრემიერის პოლიტიკურმა პარტნიორებმაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ბოლო დროს ბერლუსკონის ყველა ინტერვიუს ისინი შიშით ელიან.

## ანა ლინდის მკვლელი ჯერ ისევ იძებნება

შვედეთის პოლიციამ განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის მკვლელი მამაკაცის გარეგნული მონაცემები უკვე დადგენილია. ქვეყნის სამართალდამცავები ეძებენ ოცდაათ წლამდე ასაკის მამაკაცს. პოლიცია აცხადებს, რომ უნივერმაღის ესკალატორზე, სადაც მკვლელობა მოხდა, კარგად არის შენახული თითის ანაბეჭდები, რამაც პოლიციას საშუალება მისცა შეემოწმებინა მონაცემთა ნაციონალური ბაზა, სადაც გასამართლებული ადამიანების სახელებია შესული. თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ამ ანაბეჭდების და მონაცემების მქონე მამაკაცი აღნიშნულ ბაზაში არ იმყოფება. გუშინ, დილით გაჩნდა ინფორმაცია დაკავებული პირის შესახებ, რომელიც მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ სამხილის არარსებობის გამო, მალევე გაათავისუფლეს.

პოლიციის მიერ ძებნილ პიროვნებას მუქი თმა აქვს. მკვლელობის დღეს ის გამოწყობილი იყო კეპსა და მსუბუქ ქურთუკში. გამომძიებლებმა უკვე აღმოაჩინეს მისი ქურთუკი და დანაც, რომლითაც მან ანა ლინდი მოკლა. მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით, დაუდგენელია.

სააგენტო “როიტერმა” გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ანა ლინდმა ორი კვირით ადრე მიიღო ელექტრონული წერილი, სადაც უცნობი მამაკაცი მას სიკვდილით ემუქრებოდა. სააგენტოს ინფორმაციით, წერილი უკვე შვედეთის პოლიციის ხელშია.

## ერაყი: სისხლისღვრა გრძელდება


ერაყელები ზეიმობენ

10 ერაყელი დაიღუპა გუშინ ქალაქ ფალუჯაში ამერიკელების მიერ ატეხილი სროლის შედეგად. ერაყელი პოლიციელები დამნაშავეებს მისდევდნენ, როდესაც ისინი მანქანით გაქცევას ცდილობდნენ. ორივემ დიდი სისწრაფით ჩაუქროლეს ამერიკულ ბლოკ-პოსტს და გაჩერების ბრძანებას არ დაემორჩილნენ.

ამერიკელებმა ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ორივე მანქანაში მსხდომი ყველა ადამიანი დაიღუპა.

"ბრძოლაში" ჩაებნენ ახლომახლოს მდებარე იორდანულ სამხედრო ჰოსპიტალში განლაგებული ამერიკელი ჯარისკაცებიც. სროლა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

საბოლოოდ, დაიღუპა ქალაქის დაცვის ძალებისა და ადგილობრივი პოლიციის ათი თანამშრომელი, და კიდევ ერთი იორდანიელი ოფიცერი, რომელიც ჰოსპიტალში იმყოფებოდა.

ფალუჯა ისედაც დაუმორჩილებელ ქალაქად ითვლებოდა. ინციდენტმა მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია.

კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა გუშინ ქალაქ რამადიში, სადაც ქუჩებში გამართული ბრძოლის შედეგად ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და შვიდი დაიჭრა.

1 მაისიდან (ომის დასრულების შემდეგ) ერაყში უფრო მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ვიდრე ომის დროს.

## ნიუ-იორკის სასამართლო აზერბაიჯანში მექრთამეობას იძიებს

ნიუ-იორკის ფედერალურმა სასამართლომ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა შვეიცარელ ადვოკატს, რომელიც შუამავლობდა აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და დასავლურ საფინანსო კომპანიებს შორის.

ადვოკატს ბრალი კორუფციაში ედება. სასამართლოს მტკიცებით, ბოდნერის მეშვეობით, კომპანიებმა "იოლი როკ ინტერნეშენელმა", "მინარეთ ფაინენშიალ გრუპმა" და სხვებმა აზერბაიჯანელ თანამდებობის პირებს მილიონობით დოლარი ქრთამი გადაუხადეს.

"ოილი როკი", არც მეტი არც ნაკლები, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ხელში ჩაგდებას ცდილობდა და ამას ვაუჩერული აუქციონის გამოყენებით აპირებდა. გარიგებისათვის ხელის შესაწყობად, ბოდნერმა ოთხ აზერბაიჯანელს უზარმაზარი თანხა გადაუხადა.

მათი გვარები ჯერ ცნობილი არ არის. სასამართლოს განაჩენში ისინი მოიხსენიებიან, როგორც "მაღალი თანამდებობის პირი, ძალიან მაღალი თანამდებობის პირი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაში და ორი ჩინოვნიკი სახელმწიფო ქონების კომისიაში".

*ძიუდო*

# ზურაბ ზვიადაური მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში. 90 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა ჩვენი ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ზვიადაურმა, რომელმაც დრამატულ ბრძოლაში ფინალური შეხვედრა კორეელ ჰვანგ ჰი-ტაეს დაუთმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ზვიადაური მეორე წრიდან ჩაერთო ასპარეზობაში. მან იპონით ზედიზედ დაამარცხა გაბრიელ ლამა, ალექსანდრე ბორდერიე, მეოთხედფინალში ისლანდიელი ბიარნი სკულასონი, ნახევარფინალში კანადელი კეიტ მორგანი და ფინალში ჰვანგ ჰი-ტაეს გადაეყარა. ტურნირზე კორეელიც დამაჯერებლად ჭიდაობდა, მაგრამ სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ ახალგაზრდა ზვიადაურს გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა, რადგან ის უფრო შემტევი სტილის მოჭიდავეა და შეუძლია ერთი ეფექტური გდებით გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

ქართველმა ფალავანმა შთამბეჭდავად დაიწყო ბრძოლა. წუთიც არ იყო გასული, რომ ვაზარი აიღო. ამას კოკაც მიამატა და გამარჯვების საიმედო საფუძველი შეიქმნა. თუმცა, უმთავრესი მოვლენები თურმე წინ ყოფილა. ზვიადაურის აქტიურობა ახალგაზრდულმა ჟინმა და დამაჯერებელი გამარჯვების დაუოკებელმა სურვილმა დაჩრდილა. პირველი წარმატებით გულმოცემული ზვიადაური შეტევაში მეტისმეტად გაერთო და საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ქართველი ფალავანი თავისსავე ილეთზე წამოეგო და ამდენი შრომით მოპოვებული უპირატესობა რამდენიმე წამში ქარს გაატანა. ჰვანგ ჰი-ტაემ მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა გამოუცდელი ძიუდოისტი და იპონით გაიმარჯვა. "ზვიადაურს გამოცდილება აკლია. ვფიქრობთ, ოლიმპიური თამაშებისთვის ის ნებისმიერი მოჭიდავისთვის სახიფათო მეტოქე იქნება", - აღიარებენ ძიუდოს სპეციალისტები.

90 კგ წონაში ბრინჯაოს მედლები ერგოთ ბრაზილიელ კარლოს ჰონორატოს და ბელორუს სერგეი კუხარენკოს.

ასპარეზობას პირველივე წრეში გამოეთიშა 81 კგ წონაში მოასპარეზე გრიგოლ მამრიკიშვილი. მას მეტოქედ ერგო რიკარდო ეჩატე. მამრიკიშვილმა თითქოს ცუდად არ დაიწყო, მაგრამ ისიც მეტოქის ფანდზე წამოეგო და იპონით დამარცხდა.

ამ წონაში კიდევ ერთმა ქართველმა იასპარეზა. თურქეთის სახელით ტატამზე გამოვიდა ირაკლი უზნაძე. მან ერთმანეთის მიყოლებით იპონით დაამარცხა კორეელი ჩოი სუნ-ჰო და ჩინელი გუო ლი, მაგრამ მეოთხედფინალში იოშიჰირო აკიამას დაუთმო გზა.

*ფორმულა 1*

# მონტოიამ სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა

იტალიის ქალაქ მონცაში გაიმართა იტალიის გრან-პრის პირველი საკლასიფიკაციო რბოლები. საუკეთესო დრო აჩვენა "უილიამსის" პილოტმა, კოლუმბიელმა ხუან პაბლო მონტოიამ. კარგა ხანია, სამხრეთამერიკელი მეორე პოზიციას ინარჩუნებდა და მსოფლიო ჩემპიონ მიხაელ შუმახერთან ერთ დროს აჩვენებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოახერხა და გადაასწრო გერმანელ პილოტს - აჩვენა დრო: 1 წუთი, 20,656 წამი, რაც მონცას ტრასაზე სეზონის საუკეთესო დროა.

რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, მან, მონტოიას გარდა, წინ გაუშვა თანაგუნდელი რუბენს ბარიკელოც. სხვათა შორის, ბარიკელო მონტოიამდე სეზონის საუკეთესო დროის ავტორი იყო, რომელიც მან გუშინ, დილით, თავისუფალი პრაქტიკის დროს აჩვენა.

მეხუთე იყო ფინელი კიმი რაიკონენი, მეოთხე - კრისტიანო და მატა. რალფ შუმახერი კი დისკვალიფიცირებულია. ერთხანს ის ბოლო ადგილზე მიდიოდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა იოს ფერსტაპენის წინ, რომელიც, გაურკვეველი მიზეზების გამო, ბოქსებიდან საერთოდ არ გამოსულა. აღსანიშნავია, აგრეთვე, "იაგუარის" პილოტის მარკ უებერის მეექვსე ადგილი. მისი თანაგუნდელი ჯასტინ უილსონი კი ათეულშიც ვერ მოხვდა. პირველი კლასიფიკაციის შემდეგ ათეულში მდგომარეობა ასეთია:

| | |
|---|---|
| ხუან პაბლო მონტოია | 1:20,656 |
| რუბენს ბარიკელო | +0,128 |
| მიხაელ შუმახერი | +0,612 |
| კრისტიანო და მატა | +1,173 |
| კიმი რაიკონენი | +1,310 |
| მარკ უებერი | +1,310 |
| იარნო ტრული | +1,378 |
| ფერნანდო ალონსო | +1,447 |
| ჰაინც ჰარალდ ფრენცენი | +1,547 |
| ოლივიე პანისი | +1,716 |

*TV-სპორტი*

## შაბათი. 13 სექტემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00, 16:40, 20:40, 01:10 თავისუფალი დარტყმა.
13:15 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: ჩეხეთი-ჰოლანდია.
14:55 “ექსპერტიზა”.
15:25 “გაიტანე!”
15:40 ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა.
16:10 საერთაშორისო ტელეჟურნალი "FUTBOL MUNDIAL"
16:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია.
18:45 “დარტყმა გოლის მიმართულებით”.
19:00 “ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი”.
19:25 “ფეხბურთი ა-დან წ-მდე”
19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია.
21:45 ხვალინდელი დღის პროგრამა.
21:50 რუსეთის ჩემპიონატი. “დინამო”-“ურალანი”. პირდაპირი ტრანსლაცია.
23:25 რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა.
00:25 ესპანეთის ჩემპიონატი. “სევილია”-“დეპორტივო”. პირდაპირი ტრანსლაცია.
02:20 ინგლისის ჩემპიონატი. “არსენალი”-“პორთსმუთი”.
04:00 გერმანიის ჩემპიონატი. “დორტმუნდი”-“ვერდერი”.

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:15, 17:10, 20:10, 22:30 პრესცენტრი.
11:15, 22:45 “ოლიმპის შვილები”.
11:20 აერობიკა.
11:45 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან.
12:15 კალათბურთი. WNB-ს ჩემპიონატი. პირველი ფინალური მატჩი.
13:45 ამერიკული ფეხბურთის ფანკლუბი.
14:30 აერობიკა.
14:55 “სიჩქარის სამყარო”. ტელეჟურნალი.
15:25 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. იაპონია.
16:15 “ნადირობის სეზონი”.
16:45 “სპორტული გლობუსი”.
17:25 ამერიკული ფეხბურთი. კვირის ამბები.
17:55 მძლეოსნობა. ფინალური გრან-პრი მონაკოში. პირდაპირი ტრანსლაცია.
19:30 საჩოგბურთო მიმოხილვა
20:25 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია.
22:45 “ოლიმპის შვილები”.
22:50 ხვალინდელი დღის პროგრამა.
22:55 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ამერიკული ფეხბურთი. კვირის ამბები.

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. დანიის თასი.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2004.
13:00 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ.
14:00 ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში.
16:30 ფეხბურთი. ევრო 2004.
17:45 მოტორბოლა.
18:00 ველორბოლა. ესპანეთის ტური.
20:15 ტელეჟურნალი. სუპერრბოლები უიქ-ენდზე.
20:30 მძლეოსნობა. ფინალური გრან-პრი მონაკოში.
22:15 მოტორბოლა.
22:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში.
00:30 “მულტისპორტი”.

*ფეხბურთი*

# ნაკრების მწვრთნელს დეკემბერში დაასახელებენ

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ პრესკონფერენცია გამართა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ეროვნული ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა მერაბ ჟორდანიამ. თემა ერთი იყო – ალბანეთში ჩატარებული მატჩი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა დასანანი მარცხი განიცადა. არადა, ჩვენი ქვეჯგუფის სხვა მატჩებში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ტირანაში გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის ბრწყინვალე შანსი უჩნდებოდა.

“მატჩის წინ ერთი მიზანი გვქონდა: გვინდოდა, მოგვეგო და ჩვენს ქვეყანას, ქართველ გულშემატკივარს, ერთი თვით მაინც იმედით ეცხოვრა. ჩვენ გვჯეროდა, რომ ამის ძალა შეგვწევდა. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივაღწიეთ, რისთვისაც ქართველ ქომაგს ბოდიში უნდა მოვუხადოთ”, - განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

პირველ ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს საგანგაშო არაფერი იყო და მეორე ტაიმში წარმატების იმედიც კი უნდა გვქონოდა. მაგრამ მეორე ნახევარში ჩვენს გუნდში მოირღვა სათამაშო დისციპლინა, რამაც გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანა.

“პირველ ტაიმში არ იგრძნობოდა იმის საშიშროება, რომ ნაკრები ასე სამარცხვინოდ დამარცხდებოდა. მარჩიელობა იქნება იმის თქმა, თუ რა მოხდებოდა, ქემოკლიძეს რომ ტრავმა არ მიეღო. მაგრამ ფაქტია, რომ ფეხბურთელი, რომელიც პერსონალურად მეურვეობდა მეტოქის საუკეთესო თავდამსხმელს იგლი ტარეს, პირველივე ტაიმში დაგვემტვრა და იძულებითი შეცვლა მოგვიხდა. მის ნაცვლად შესულმა რეხვიაშვილმა აშკარად ვერ ივარგა და დაცვის მარჯვენა ფლანგი ჩაგვივარდა. ახლა ვერ ვიტყვით, ქემოკლიძეს რომ ტრავმა არ მიეღო, რა მოხდებო-



მერაბ ჟორდანია ახალ მწვრთნელს დეკემბერში წარმოგვიდგენს

და, მაგრამ მარცხში რომ ამ შემთხვევამ თავისი როლი ითამაშა, ეჭვგარეშეა”, - აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა, რომლის გუნდსაც ალბანეთთან მატჩის წინ ნამდვილად ჰქონდა საკადრო პრობლემები. ეს განსაკუთრებით დაცვის ხაზში იგრძნობოდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ტრავმების გამო ალბანეთთან ორრაუნდიანი დაპირისპირება გამოტოვეს საქართველოს ნაკრების დაცვის წამყვანმა ფეხბურთელებმა, მილანელმა კახა კალაძემ და დინამოელმა ოთარ ხიზანეიშვილმა. ალარაფერს ვამბობთ გიორგი შაშიაშვილზე, რომელიც ასევე ვერ გაემგზავრა ტირანაში.

მეორე ტაიმის შუაწელში, როდესაც ანგარიში უკვე 2:0 იყო, საქართველოს ნაკრების სათადარიგოთა სკამზე ატყდა შეხლა-შემოხლა, რასაც “ტვენტეს” ქართველი ლეგიონერის, გოგა გახოკიძის სკამიდან გაძევება მოჰყვა.

“ამ ინციდენტთან დაკავშირებით პირში წყლის ჩაგუბებას, ან იმის თქმას, თითქოს არაფერი მომხდარა, ნამდვილად არ ვაპირებ. ჩხუბი ნამდვილად ატყდა და იმ ნიუანსებს, ფეხბურთელებს შორის მოხდა ეს თუ ფეხბურთელსა და გუნდის ხელმძღვანელობას შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. არც იმას დავმალავ, რომ ინციდენტი მატჩის შემდეგაც გაგრძელდა. მთავარი ის არის, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი, პირველ რიგში, მორალურად და ფსიქოლოგიურად მზად არ არის ეროვნულ გუნდში გამოძახებისთვის. ნაკრებში გამოძახება და 18 რჩეულ ფეხბურთელს შორის მოხვედრა უდიდესი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა. როგორც ჩანს, ზოგიერთი ამას ვერ აცნობიერებს. ამ შემთხვევაზე აზრის გამოთქმის უფლება აქვს ყველას, ვინც ქართულ ფეხბურთშია ჩაბმული და ვისაც ჭეშმარიტ გულშემატკივრად მიაჩნია თავი. გახოკიძის მიმართ აუცილებლად გატარდება საჯარიმო სანქციები, თუმცა, კონკრეტულად რა სახის, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის”, - კატეგორიული იყო ჟორდანია.

რაც შეეხება ნაკრების მომავალ მწვრთნელს, ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, საზოგადოება მის ვინაობას წლის ბოლომდე შეიტყობს.

*კალათბურთი*

# ესპანეთი და იტალია ნახევარფინალში გავიდნენ

შვედეთში გამოვლინდნენ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები კალათბურთელ ვაჟთა შორის. საფრანგეთსა და ლიტვას ოთხეულში იტალია და ესპანეთი შეუერთდნენ. იტალიამ საბერძნეთი დაამარცხა (62:59), ხოლო ესპანეთმა – ისრაელი (78:64). ამ ეტაპზე საფრანგეთი ლიტვას შეხვდება, ხოლო იტალია - ესპანეთს.

მეოთხედფინალში ესპანელებმა, შეიძლება ითქვას, იოლად დაძლიეს ებრაული ბარიერი და ისრაელის ნაკრები 14 ქულის სხვაობით - 78:64 დაამარცხეს. ამ მატჩში ესპანელთა უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში აშკარა იყო. დიდ შესვენებაზე ესპანელები 8-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ. ნათელი იყო, რომ ამ სოლიდურ ჰანდიკაპს პირენეელები ქარს არ გაატანდნენ. ასეც მოხდა. უკანასკნელი, მეოთხე მეოთხედი მათ კიდევ შვიდი ქულით მოიგეს და ტურნირის საუკეთესო ოთხეულშიც დამსახურებულად გავიდნენ. ესპანელთა შორის საუკეთესო იყო პაუ გაზოლი. მან გუნდისთვის 25 ქულა, 7 მოხსნა და 3 დაფარება გაახერხა. ებრაელთაგან საუკეთესო შარპი იყო. მის ანგარიშზე 16 ქულაა.

"ამ ჩემპიონატზე ესპანეთმა არაერთხელ დაადასტურა, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და უმაღლეს ჯილდოებს იმსახურებს. იტალიელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ყოველმხრივ შევეცდებით, ფინალში სწორედ ჩვენ ვითამაშოთ", - მატჩის შემდეგ განაცხადა პაუ გაზოლიმ.



REUTERS

ესპანელი ხოსე კალდერონი ებრაელთა ფარს უტევს

კიდევ ერთ მეოთხედფინალში იტალია და საბერძნეთი არკვევდნენ ურთიერთობას. ბერძნებმა წლევანდელ ჩემპიონატზე, როგორც ჯგუფის გამარჯვებულებმა, მეოთხედფინალის საგზური პირდაპირ მოიპოვეს, ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ბერძნებს არც ამ შეხვედრაში შეექმნებოდათ განსაკუთრებული პრობლემები, მაგრამ შეცდნენ. იტალიელები პრაგმატული ხალხია და ამას სპორტშიც ადასტურებენ. ბერძენთა შეტევებს აპენინელებმა მკაცრად ორგანიზებული დაცვა დაუპირისპირეს და მეტოქის ლიდერებს - ნტიკუდისსა და სიგალასს გასაქანი არ მისცეს.

იტალიელებმა განსაკუთრებით საუკეთესოდ ჩაატარეს მეორე ნახევარი. მესამე მეოთხედი გალანდას შესანიშნავი თამაშის წყალობით იტალიის ნაკრებმა ექვსი ქულის სხვაობით - 17:11 მოიგო და, როგორც აღმოჩნდა, სწორედ ეს იყო გადამწყვეტი ამ შეხვედრაში. გალანდამ გუნდს 15 ქულა შესძინა, ისევე როგორც მისმა ბერძენმა ოპონენტმა ნტიკუდისმა, მაგრამ იტალიელებმა დაცვაში ოდნავ უკეთესად ითამაშეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

*ინფოთეკა*

**ფეხბურთი.** ალბანეთ-საქართველოს მატჩში ალეკო რეხვიაშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ 11 ოქტომბერს, რუსეთის წინააღმდეგ გასამართ შეხვედრაში რეხვიაშვილი ვერ მიიღებს მონაწილეობას. ალბანეთთან მატჩში მიღებული ყვითელი ბარათი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველისთვის ზედიზედ მეორე იყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის “რეალი” უახლოეს დღეებში გეგმავს კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელის შეძენას. სამეფო კლუბი ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბ “ოვიედოს” მცველით სერჟიო დიასით დაინტერესდა. დიასი ჯერ 18 წლისაა და მისი შეძენით უამრავი კლუბია დაინტერესებული. “ოვიედოს” არ სურს ფეხბურთელთან განშორება, თუმცა, კლუბში არსებული ფინანსური პრობლემების გამო დიასის გუნდიდან წასვლას, ალბათ, წინ ვერაფერი დაუდგება. სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დორტმუნდის “ბორუსიას” ბრაზილიელი თავდამსხმელი მარსიო ამორუზო მომავალი თვენახევრის განმავლობაში ვერ შეძლებს საკუთარი გუნდის დახმარებას. გუშინწინდელ ვარჯიშზე ამორუზომ ტრავმა მიიღო. დიაგნოზი მარჯვენა მუხლის მყესების დაჭიმვაა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთ-უკრაინის მატჩის შემდეგ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხზე ისაუბრა. სურკისმა განაცხადა, რომ მიმდინარე შესარჩევი ციკლის დასრულებამდე ახალ მწვრთნელზე საუბარი გუნდის ახლანდელი თავკაცის, ლეონიდ ბურიაკის წინაშე არაეთიკური იქნებოდა. თუმცა, სურკისმა ისიც აღნიშნა, რომ ბურიაკის შემცვლელად აუცილებლად უცხოელ სპეციალისტს მოიწვევს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** “მანჩესტერ იუნაიტედის” აწ უკვე ყოფილი მენეჯერის პიტერ კენიონის ლონდონის “ჩელსიში” გადასვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამტკიცებენ, რომ კენიონის წასვლა “მანჩესტერის” მწვრთნელთან ალექს ფერგიუსონთან კონფლიქტმა გამოიწვია. ფერგიუსონმა კი ეს ხმები უარყო და განაცხადა, რომ მას და კენიონს შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ. “ეს იყო უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობა. კენიონი დიდი პროფესიონალი და შესანიშნავი პიროვნებაა. იმედი მაქვს, მისი შემცვლელი დევიდ ჯილი მის გზას განაგრძობს”, - თქვა ფერგიუსონმა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბმა “იუტა ჯაზმა” ჯონ სტოკტონის შემცვლელი იპოვა. სტოკტონმა დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, რის გამოც მისი კლუბი ახალი მოთამაშის შეძენის აუცილებლობის წინაშე დადგა. “იუტა ჯაზმა” “ატლანტა ჰოქსის” კალათბურთელს ჯეისონ ტერის მრავალწლიანი კონტრაქტი დაუდო. ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გერმანელი პილოტი რალფ შუმახერი იტალიის გრან-პრიში მიიღებს მონაწილეობას. შუმახერმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. მას ჩაუტარეს ტვინის სკანირება, რის შემდეგაც ექიმებმა შეჯიბრებაზე გამოსვლის ნება დართეს. “ავარიის შემდეგ რამდენიმე დღეს თავი მტკიოდა. მალე ვარჯიში დავიწყე და ახლა არავითარი პრობლემა აღარ მაქვს”, - განაცხადა რალფ შუმახერმა.

■ ■ ■

**კრივი.** ტელეკომპანია HBO-მ, რომელიც ვლადიმერ და ვიტალი კლიჩკოების ბრძოლების ორგანიზების ექსკლუზიურ უფლებებს ფლობს, ვიტალი კლიჩკოს მომავალი მეტოქის გარკვევის საკითხი სექტემბრის ბოლომდე გადადო. ჯერაც უცნობი რჩება, შედგება თუ არა 6 დეკემბერს დანიშნული მატჩ-რევანში ლუისისა და კლიჩკოს შორის. კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ვიტალი კლიჩკომ განაცხადა: “ლუისის გუნდი ჩემს პრომოუტერს დღემდე გარკვევით ვერ პასუხობს. ამას წინათ ლუისმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს რინგზე გასვლას არ გეგმავს. მაგრამ მან ერთი რამ უნდა იცოდეს: თუ მოკრივის კარიერის გაგრძელებას აპირებს, ჩემთან ბრძოლას ვერ გადაურჩება”.



# პირველად, ოპერაში

## მაკა ასათიანი: "როგორც იქნა, ქართველი გოგონა მოხვდება მის-მსოფლიოზე"

ვერა ნეფარიძე

*ვინ მოიპოვებს 2003 წელს საქართველოს ლამაზმანის ტიტულს და ვის ერგება "მის-საქართველოს" ულამაზესი გვირგვინი? ვინ მოიგებს კეთილმოწყობილი ბინისა და "მერსედესის" მარკის ავტომობილის გასაღებებს? ვინ იქნება დეკემბრის დასაწყისში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და პრესტიჟულ ცერემონიალზე საქართველოს სახე? – ყველა ამ შეკითხვას პასუხი სულ მალე, 21 სექტემბერს, ოპერაში მის-საქართველოს" გამოსავლენად გამართულ კონკურსზე გაეცემა. გუშინ სასტუმრო "მარიოტში" კონკურსის ორგანიზატორებმა ჩატარებული სამუშაოებისა და დიდი სამზადისის შესახებ ისაუბრეს.*



*ია კიწმარიშვილი და მაკა ასათიანი კონკურსის ფინალის სამზადისში*

თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რომ კონკურსი ფართო საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს ჯერ ერთი ის გვაძლევდა, რომ მსგავსი ღონისძიებებისადმი დამოკიდებულება ყველგან ერთნაირია. ემოციები კი "მის-საქართველოს" გარშემო კიდევ უფრო მეტია, რამდენადაც ასეთი კონკურსი, საიდანაც გამარჯვებული ავტომატურად "მის-მსოფლიოზე" ხვდება, პიველად იმართება ჩვენთან. საქართველოში ხომ "მის-მსოფლიოსთვის" ლამაზმანების შერჩევის პრეროგატივა აქამდე არავის ჰქონია (ორიოდე თვის წინ ეს უფლება "იმიჯ-ცენტრმა" მოიპოვა). ამის გარდა, არსებობს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი, რითაც "მის-საქართველომ" მთელი ჩვენი მოსახლეობის ყურადღება მიიპყრო. ამ მიზეზებს შორისაა ის პრიზები, რომელთა გამოც კიდევ უფრო მომხიბლავი, მიმზიდველი თუ სასურველი გახდა "მის-საქართველოში" მონაწილეობა. სწორედ ამაზე საუბრობს ცნობილი დიზაინერი მაკა ასათიანიც: **"ნამდვილად არ ველოდი ჩვენი გოგონებისგან ასეთ აქტიურობას შესარჩევ ტურებში, რაც პირველ რიგში, ორგანიზატორების დამსახურებაა. მათ ისე წარადგინეს საკუთარი თავი, რომ კონკურსმა სერიოზული დაინტერესება გამოიწვია. თანაც, პრიზებიც ისეთი სერიოზულია, მითუმეტეს დღეისათვის, როცა ასე გაჭირდა არსებობა".**

როგორც გუშინ გაცხადდა, მაკა ასათიანი კონკურსის ფინალამდე გასაიდუმლოებული ჟიურის თავმჯდომარეა. **"ჩვენ განგებ არ ვასახელებთ ჟიურის შემადგენლობას, რომ შემდეგ მათზე ზეწოლა არ განიზრახონ"**, - კონკურსის ორგანიზატორის, ია კიწმარიშვილის გადაწყვეტილება ნამდვილად სწორია – საქართველოში ხომ ძალიან უყვართ "ჩაწყობა". "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელმა მხოლოდ კომპეტენტური ჟიურის წევრების რაოდენობაზე მიგვანიშნა – ფინალისთვის შერჩეული გოგონების ბედს 5-7 წევრიანი ჟიური გადაწყვეტს. ამჟამად, დარჩენილია ოცი ნახევარფინალისტი, რომლებიც ქალაქის ერთ-ერთ სასტუმროში ორგანიზატორთა ზედამხედველობის ქვეშ განსაკუთრებულად ემზადებიან 21 სექტემბრის ღონისძიებისთვის. ისინი გამოცდილ სპეციალისტებთან გადიან ორკვირიან ინტენსიურ მოსამზადებელ ეტაპს. "იმიჯ-ცენტრთან" ერთად, დასკვნითი ეტაპისთვის დაგეგმილი შოუს განსაკუთრებულ სამზადისშია სალონები: "მაკა ასათიანი" და "თათა ვარდანაშვილი". სწორედ ამ ორ, ჩვენში ალბათ ყველაზე მოდურ სალონებში იკერება ოცი კონკურსანტისთვის კოლექციები. რაც შეეხება საიუველირო სალონ "დიადემას", აქ უკვე დასრულდა საკონკურსო სამზადისი, ნამუშევარი კი ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ გუშინ პრესკონფერენციაზე ორგანიზატორებთან ერთად, გვირგვინს თვალს ვერც ჟურნალისტები წყვეტდნენ. რადგანაც სილამაზის სიტყვით სრულად გადმოცემა მეტად რთული საქმე გახლავთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ გვირგვინი მართლაც ყველაზე ძვირფასი მეტალისა და ქვებისგანაა დამზადებული. მასზე იკითხება ინიციალები MG (Miss Georgia), ხოლო გვირგვინის ცენტრში მოთავსებულია აკვამარინის თვალი. მაკა ასათიანმა ამ ძვირფასი თვალის შესახებ მოკლედ გვითხრა: **"საერთოდ, სხვადასხვა პერიოდში ესა თუ ის ქვაა ხოლმე მოდაში. ამჟამად აკვამარინი ყველაზე მოდურია".**

იქცევა თუ არა მოდურად საქართველოში სილამაზის კონკურსებზე გასვლა? აქამდე ეს ნამდვილად არ იყო ასე, რაც ძირითადად დაბალ დონეზე ორგანიზებული ღონისძიებების გამო ხდებოდა. თუ "იმიჯ-ცენტრის" ორგანიზებული "მის-საქართველოს" შესარჩევ ტურებში ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდა გოგონების აქტივობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძალიან მალე, ყოველ შემთხვევაში, "მის-მსოფლიოზე" წარსადგენად გამართულ "მის-საქართველოში" მონაწილეობა კიდევ უფრო პოპულარული გახდება. რაც მთავარია, ამ კონკურსზე მონაწილეთა გეოგრაფიული წარმომავლობა მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლება. სწორედ ასეთია ორგანიზატორთა ძირითადი მიზანი. **"ძალიან გვინდოდა საკონკურსოდ აქტიურობა რეგიონებიდანაც გამოეჩინათ. საამისოდ შევქმენით მობილური ჯგუფები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მუშაობდნენ"**, - ამბობს ია კიწმარიშვილი. ორგანიზატორთა სურვილი მიღწეული იქნა – რეგიონებიდან მართლაც საკმაოდ ბევრმა გოგონამ მიიღო ადგილობრივ შესარჩევ ტურებში მონაწილეობა. ამაში კი ძალიან დიდი როლი ითამაშეს ადგილობრივმა, "რუსთავი 2"-ის პარტნიორმა ტელეკომპანიებმა. **"მათი დახმარების გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა ინფორმაციის გავრცელება და ადგილობრივი მოსახლეობის შესარჩევ ტურებში ჩართვა"**, - კონკურსის ორგანიზატორი რეგიონალური ტელევიზიების დამსახურებაზეც საუბრობს. ამჟამად ოცი ნახევარფინალისტიდან შვიდი სწორედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, ქობულეთი, ზუგდიდი, ლაგოდეხი) საუკეთესოთა შორის შეარჩიეს. სამუშაო საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ფინალამდე საკმაოდ შორია, ხოლო კონკურსს ფინალზე ვერ მოხვედრილი რამდენიმე გოგონას მშობლის სახით, უკმაყოფილოებიც გამოუჩნდნენ. რამდენიმე მათგანი გუშინ გამართულ პრესკონფერენციასაც დაესწრო. მშობლებმა კონკურსის ორგანიზატორებისგან უშუალოდ მოისმინეს პასუხები მათ შეკითხვებზე. იმედია, ამ შეხვედრაზე უკმაყოფილების საკმაოდ სუბიექტური მიზეზები თუ არ აღმოიფხვრა, საგრძნობლად მაინც შესუსტდა. ჩვენ კი ჟიურის გადაწყვეტილება შეგვიძლია 21 სექტემბერს შევამოწმოთ. როგორც გვპირდებიან, "მის-საქართველოს" დასკვნითი საღამო საკმაოდ მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული. "მაგისტილი" საგანგებო დეკორაციაზე მუშაობს; დგინდება საკონცერტო პროგრამაში მონაწილეთა სია – ერთი სიტყვით, ამ საღამოზე დასწრება ალბათ მათთვისაც ღირს, ვინც სილამაზის კონკურსებზე მოხვედრას დიდად არ ცდილობს. და კიდევ ერთი, რატომაც ღირს 21 სექტემბერს ოპერაში მისვლა – ჩვენ ხომ ისტორიულ ფაქტს შევესწრებით. აქ კი მაკა ასათიანის ნათქვამს გავიმეორებ: **"როგორც იქნა, ქართველი გოგონა მოხვდება მის-მსოფლიოზე"**

# თბილისის სიმფონიური ორკესტრი 10 წლისაა

## იუბილარი ორკესტრი "შემოდგომის თბილისის" მეთერთმეტე გამოშვებას მასპინძლობს

მადი სერებრიაკოვა

ქართული ხელოვნების დღევანდელ, არცთუ სახარბიელო ეკონომიკურ პირობებში ფესტივალის ჩატარება მართლაც დიდი ფუფუნებაა. თუმცა, გარკვეული მეცენატობის თუ უცხოელი მუსიკოსი პარტნიორების ქველმოქმედების წყალობით ფესტივალები მაინც იმართება. თავისი აკადემიურობიდან გამომდინარე "შემოდგომის თბილისი" მათ შორის განსაკუთრებულია. ჯერ კიდევ მაესტრო ჯანსუღ კახიძის მიერ დამკვიდრებული ტრადიციიდან მოყოლებული, იგი უკვე მეთერთმეტედ იმართება და საქართველოში იკრებს როგორც უცხოელ, ისე ქართველ სამუსიკო სცენის კორიფეებს. წელს ფესტივალის დამფუძნებელს - თბილისის სიმფონიურ ორკესტრს, რომელსაც ამჟამად ვახტანგ კახიძე უდგას სათავეში, დაარსებიდან 10 წელი უსრულდება. წლევანდელი "შემოდგომის თბილისი", კერძოდ მისი დახურვა, სწორედ ამ თარიღს მიეძღვნება. "შემოდგომის თბილისი" წელს 20 სექტემბერს იხსნება.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი დღეს ჯანსუღ კახიძის სახელობის სიმფონიური მუსიკის ცენტრის ბაზაზე არსებობს. ორკესტრს დაარსებიდან სწორედ ცნობილი მაესტრო ხელმძღვანელობდა. მის სიცოცხლეში ორკესტრმა არაერთი მნიშვნელოვანი გასტროლი გამართა საფრანგეთში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში, თურქეთში და ა.შ. ორკესტრთან მუშაობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული დირიჟორები. მათ შორის, გენადი როჟდენსტვენსკი, რომელიც წელს სწორედ "შემოდგომის თბილისის" გახსნის კონცერტს უდირიჟორებს. აღსანიშნავია, რომ თბილისში როჟდესტვენსკების მთელი ოჯახი ჩამოდის: მევიოლინე ალექსანდრე როჟდესტვენსკი ყანჩელის ".. და მყისვე ქრება სევდიანი მისალმება"-ს პრემიერას წარმოადგენს. პროკოფიევის მეორე კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის კი ჩვენს ორკესტრთან ერთად გენადი როჟდესტვენსკის მეუღლე, ცნობილი პიანისტი ვიქტორია პოსტნიკოვა შეასრულებს.



*ვახტანგ კახიძე*

გასულ წელს "შემოდგომის თბილისი" განსაკუთრებით მაღალი პროფესიული დონით, ორგანიზებულობით, პომპეზურობით (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით) გამოირჩეოდა. რად ღირს თუნდაც მსოფლიო სცენის ისეთი ვარსკვლავების სტუმრობა, როგორებიცაა იური ბაშმეტი, ვიქტორ ტრეტიაკოვი, ნატალია გუტმანი, გარი ჰოფმანი და სხვებია. თბილისელთათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო სახელოვანი ბარიტონის ლადო ათანელის გამოსვლაც ვერდის "მაკბეტის" სცენების შესრულებისას. ის დასავლეთში მოღვაწეობს და ქართულ სცენაზე ალბათ კიდევ დიდხანს ველარ ვიხილავთ. რაც მთავარია, შარშანდელმა ფესტივალმა განსაკუთრებით ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს მაღალი კლასის ორკესტრი, რომელიც მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავებს ნამდვილ, ღირსეულ პარტნიორობას უწევს.

უკვე მესამე წელია თბილისის ორკესტრსა და "შემოდგომის თბილისსაც" დირიჟორი, კომპოზიტორი და პიანისტი ვახტანგ კახიძე ხელმძღვანელობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაყოფიერად მუშაობს როგორც კომპოზიტორი და პიანისტი (თუმცა როგორც თავად აღნიშნა, ბოლო წელს ამ მხრივ უდროობის გამო მან ძალზედ ცოტა რამის გაკეთება მოასწრო. ერთადერთი. შვებულების დროს საკუთარი ნაწარმოების გაორკესტრება მოახერხა, რომელიც ორკესტრის პეტერბურგში დაგეგმილი გასტროლისთვის მზადდება), წელს მას საკრებულოს წევრობის და დეპუტატობის კანდიდატის როლის მორგებაც მოუხდა. თუმცა ეს ყველაფერი, საბოლოოდ ფესტივალისა და ორკესტრის ინტერესებს ემსახურება.

ფესტივალზე ძირითადი აქცენტი პროფესიულ მუსიკაზე კეთდება. თუმცა, როგორც ვახტანგ კახიძე აღნიშნავს, წელსაც გაიმართება იმპროვიზაციული და ფოლკლორული მუსიკის კონცერტები: **"ხალხური მუსიკის კონცერტები ყოველთვის განსაკუთრებით ამაღელვებელია ხოლმე, რატომღაც ამ კონცერტებზე კლასიკურისგან განსხვავებული მსმენელი მოდის"**. წელს ხალხური მუსიკა არა მარტო ტრადიციული ქართული ფოლკლორით იქნება წარმოდგენილი. ერთი მხრივ, დაგეგმილ საგუნდო მუსიკის საღამოზე, რომელშიც მონაწილეობას ნიკო სულხანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა და ბავშვთა შვიდი ფოლკლორული ანსამბლი იღებს, ნიკო სულხანიშვილისა და თავად გივი მუნჯიშვილის ნაწარმოებები, ასევე ტრადიციული ქართული საერო და საეკლესიო მუსიკა შესრულდება. დასასრულს კი გაერთიანებული გუნდით დაგვირგვინდება. მეორე მხრივ, ეთნო-მუსიკის ინტონაციებს ფესტივალზე რუსული ვოკალური ანსამბლი Бабье Лето წარმოადგენს. სათაურიდანვე მიხვდებით, რომ იგი რუსეთში "ოქროს შემოდგომის" დასაწყისს უკავშირდება, რომელიც ხალხური დღესასწაულების, ქორწილებისა და ბაზრობების სიმრავლითა და მასთან დაკავშირებული რუსული ხალხური მუსიკალური ტრადიციებით აღინიშნება. Бабье Лето ფესტივალზე რუსულ და საბჭოთა სიმღერების ინტონაციებზე დამყარებული იმპროვიზაციული რეპერტუარით წარსდგება.

ფესტივალის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტუმარი პიანისტი მიხაილ ლიდსკია. მან გასულ გაზაფხულზე საინტერესო კონცერტი და მასტერ-კლასები სტუდენტებისთვის კონსერვატორიის დარბაზში გამართა. მასთან ერთად ჩამოსული "მოსკოველი ვირტუოზების" სექსტეტი ცნობილი და მრავალ საერთაშორისო კონკურსზე პრემირებული მუსიკოსებისგან შედგება. გარდა "ვირტუოზების" საკუთარი პროგრამისა, ლიდსკისთან ერთად ისინი შუბერტის კვინტეტს, "კალმახსაც" შეასრულებენ.

ყველაზე პომპეზური გეგმები დასასრულს უკავშირდება. ბიზეს "კარმენის" საკონცერტო შესრულებას, რომლისთვისაც თბილისში "ლა სკალას" ქართველი სტაჟიორები ნინო სურგულაძე და გია ონიანი ჩამოვლენ, აქ მასპინძლობას თბილისის ორკესტრი, ოპერის გუნდი, ბარიტონი ბესო გაბიტაშვილი (ესკამილიოს პარტიით) და მუსიკალური ცენტრის ბიჭუნათა გუნდი გაუწევს. განსაკუთრებით ფესტივალის დასკვნითი ღონისძიებისთვის, ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიისთვის ემზადებიან, რომელიც ამავე დროს ორკესტრის საიუბილეო ღონისძიებაც იქნება. აქ ორკესტრს პარტნიორობას აჭარის სახელმწიფო კაპელა და ვოკალისტების ჯგუფი გაუწევენ. მათ შორის, ოპერის სოლისტების, თემურ გუგუშვილის, გია ასათიანის, ირმა ბერძენიშვილის გვერდით, სტუდენტი, მეცოსოპრანო ქეთევან ქემოკლიძე გამოვა, რომელმაც შარშან ფესტივალზეც გამოიჩინა თავი მოცარტის "რეკვიემისა" და "მისა ბრევის" შესრულებისას.

შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ფესტივალს სპონსორი არ ჰყავს. იგი მხოლოდ მერიის მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებით ფინანსდება. საბედნიეროდ, ეს არ აისახება ფესტივალის სტუმართა კონტინენტზე. როგორც ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ვატო კახიძე ნახევრად ხუმრობით აღნიშნავს - **"უკვე ტრადიციად იქცა, რომ ყველას ვეცოდებით და დაწყებული ბაშმეტიდან, როსტროპოვიჩიდან - სოლისტები ყოველთვის ჰონორარის გარეშე, ჩვენი მსმენელის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულის გამო ჩამოდიან".**

# იმოძრავეთ ზევით, ქვევით და პირდაპირ

ნინო ჭანიშვილი

თბილისში ლიფტის ხსენება დეპრესიულობას იწვევს – ვერტიკალურად გადაადგილების ეს საშუალება უშუქობასთან და ჭუჭყთან ასოცირდება; ამ ბოლო დროს კი ათთეთრიან ყუთებთანაც.

მაგრამ იქ, სადაც ცოტა ფული და გემოვნება აქვთ, გადაადგილების ეს საშუალება თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების ნიმუშებად აქციეს - თვალსაჩინოებისათვის 1977 წელს აშენებული პომპიდუს ცენტრიც გამოდგება, მისი გარეთ გამოტანილი მავთულ-ხლართებით, ესკალატორებით და წითელი ლიფტებით. რომ არ გამოეგონებინათ ჰიდრავლიკური ლიფტი, ვერ აშენდებოდა ეიფელის კოშკი და მილიონობით ტურისტიც ველარ გადმოხედავდა პარიზს ზემოდან.



საუბარი იმაზე, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა 11 სექტემბერს სავაჭრო ცენტრის ლიფტებში, ზედმეტია. ახალი შენობა, რომელიც "გრაუნდ ზიროს" ადგილას აშენდება, კიდევ უფრო მაღალი იქნება, და საერთოდ ყველაზე მაღალი მსოფლიოში. შესაბამისად, დევიდ ლიბესკინდის მემორიალურ კომპლექსში ლიფტებიც უფრო მაღლა ააქროლებენ დაღუპულთა ოჯახებს და არა მარტო მათ. ნებისმიერი კატასტროფის მიუხედავად საინჟინრო ხელოვნების ეს დარგი წარმატებით ვითარდება.

ამერიკელებმაც აღარ დააყოვნეს და ვაშინგტონში, ტერაქტის 2 წლისთავის მეორე დღეს ანუ 12 სექტემბერს – ლიფტს, ესკალატორებს და მათ შორის მოძრავ ტროტუარებს გრანდიოზული გამოფენა მოუწყვეს - სათაურით "ზევით, ქვევით, გასწვრივ".

გამოფენა ვაშინგტონის "ნაციონალურ სამშენებლო მუზეუმში" გაიხსნა. უფასოდ შესულ მნახველს საშუალება ეძლევა ტრანსპორტის სფეროში მიღწეული საშუალებები ერთიანად იხილოს და შეიგრძნოს თანამედროვე ცხოვრების რიტმი – მოძრავი კონსტრუქციების, მოდელებისა და დოკუმენტური ფილმების საშუალებით.

ლიფტები და ესკალატორები გამოფენის მოწყობას ნამდვილად იმსახურებდნენ, მით უფრო-ამერიკაში. ამერიკული ცათამბჯენები ლიფტების, ხოლო ამერიკული სავაჭრო ცენტრები ესკალატორების გარეშე წარმოუდგენელია.

სწრაფი ლიფტით და ესკალატორით მგზავრობისას პერსპექტივა სწრაფად იცვლება და კინოკადრების შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ვაშინგტონის მუზეუმის საიტი გვამცნობს "კინოეფექტს" ქმნის მთელი ექსპოზიცია. დათვალიერებისას მუდმივი მოძრაობა გარანტირებულია – მუზეუმის შესასვლელთან ღილაკზე დაჭერით უზარმაზარი ლიფტის კარები იღება. კაბინაში ეკრანებზე გამოჩნდება ძველებური ლიფტების ამსახველი კადრები. ეკრანები დამონტაჟებულია ყველგან - იქვე მოწყობილ ესკალატორებზე და ნაირნაირი დარბაზების კედლებზე. ექსპოზიცია სპეციალურად კონსტრუირებული გვირაბით სრულდება, სადაც მნახველს აეროპორტის მოძრავ ტროტუარზე ჰგონია თავი.

მართალია ლიფტები დიდად აითვისა ამერიკამ, მაგრამ როგორც წერილობითი წყაროებით არის ცნობილი, მათზე ბევრად ადრე და ბევრად შორს – ეგვიპტეში - ლიფტის პირველსახე პირამიდების მშენებლობისას გამოიგონეს. ხოლო თანამედროვე ლიფტების ცოცხალი წინაპარი, ჰერკულანუმში აღმოაჩინეს – ეს იყო მოწყობილობა, რომლითაც სამზარეულოდან ჭურჭელი სასადილო ოთახში აჰქონდათ. ლიფტის განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ბრძენმა არქიმედემაც. შუა საუკუნეებში კი ადამიანებისა და ტვირთის ზედა სართულებზე ასაყვანად გამოიყენებოდა ლიფტი, რომელიც ცხოველების კუნთების ხარჯზე მოძრაობდა. ლიფტი გაკეთებული იყო ვერსალშიც, იმისათვის რომ 33 წლის ლუდოვიკ XV უპრობლემოდ ასულიყო ერთი სართულით ზევით საყვარლის აპარტამენტებში. ბევრი ძიებების შემდეგ, 1852 წელს ელაიშ გრეივს ოტისმა გამოიგონა ლიფტი, რომელსაც უსაფრთხო მუხრუჭი ჰქონდა – ტროსების ჩამოვარდნის შემთხვევაშიც კი ლიფტი არ ვარდებოდა. მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ევროპაში ლიფტი საოცრებად ითვლებოდა და ხალხი შიშით უყურებდა, თუმცა, მალე 30-იანი წლებიდან ლიფტი რესპექტაბელურობის ნიშნად იქცა. ხოლო მას შემდეგ რაც ელექტრო ლიფტები გამოიგონეს ვეღარაფერმა შეაკავა ამერიკული ცათამბჯენების სიმაღლეში ზრდა. ამერიკის ყველაზე მაღალ ცათამბჯენს "სირს ტაუერს" ჩიკაგოში 106 ლიფტი აქვს, აქედან 16 ორსართულიანია ანუ ერთდროულად ორი სართულის მგზავრებს ემსახურება. ჩიკაგოს ცათამბჯენის შემინულ სახურავზე მოხვედრის მსურველებისათვის ორი ექსპრეს-ლიფტი მუშაობს, რომლებიც 412 მეტრს წუთსა და რამდენიმე წამში გადიან.

რაც შეეხება ნახევრად ჩაბნელებულ თბილისს და მის ლიფტებს, იგი კვლავ "დიდი ამოცანის" წინაშე რჩება - დაამონტაჟონ თუ არა კაბინებში ათთეთრიანი ყუთები.

## ათეულები

### ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

Billboard Radio
SEE IT. HEAR IT. ONLY HERE!

| შემსრულებელი | [illegible] | [illegible] | შემოსავალი $ მილიონი | ბილეთების ფასი $ |
|---|---|---|---|---|
| 1. [illegible] | 15-16, 18 ივლისი | [illegible] | 4.7 | 175; 88; 45; |
| 2. [illegible] | 8-9 ივლისი | [illegible] | 3.3 | 177.50; 87.50; 47.50; |
| 3. "ეროსმითი", "კისი", "სალივა" | 26, 27 ივლისი | [illegible] | 2.9 | 125; 49.50; |
| 4. სელინ დიონი | 3-7 სექტემბერი | ლას ვეგასი, ნევადა | 2.8 | 225; 175; 127.50; 87.50; |
| 5. [illegible] | 11-12 ივლისი | [illegible] | 2.8 | 175; 88; 45; |
| 6. სელინ დიონი | 27-31 აგვისტო | ლას ვეგასი, ნევადა | 2.8 | 200; 150; 127.50; |
| 7. [illegible] | 21, 22 აგვისტო | [illegible] | 2.6 | 63.50; 33.50; |
| 8. [illegible] | 24-25 აგვისტო | [illegible] | 2 | 50.50; |
| 9. [illegible] | 26 ივლისი | [illegible] | 1.9 | 200; 125; 49.50 |
| 10. [illegible] | 8 აგვისტო | [illegible] | 1.7 | 300; 156; 93 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ფრანგული კინო-თეატრების მონაცემების მიხედვით

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| 1. [illegible] | [illegible] | 5.7 მილიონი | 5.7 მილიონი |
| 2. "კარიბის ზღვის მეკობრეები" გორ ვერბინსკი | ორლანდო ბლუმი, ჯონი დეპი, კეირა ნაითლი, ჯეფრი რაში | 1.7 მილიონი | 18.6 მილიონი |
| 3. Pere et Fils მიშელ ბუჟენა | [illegible] | 0.8 მილიონი | 4.7 მილიონი |
| 4. [illegible] | [illegible] | 0.8 მილიონი | 3 მილიონი |
| 5. Bienvenue au Gîte, კლოდ დიუტი | [illegible] | 0.8 მილიონი | 0.8 მილიონი |
| 6. [illegible] | [illegible] | 0.7 მილიონი | 1.9 მილიონი |
| 7. [illegible] | [illegible] | 0.6 მილიონი | 6.8 მილიონი |
| 8. "ტერმინატორი-3", ჯონათან მოსტოუ | არნოლდ შვარცენეგერი, კლერ დეინსი | 0.6 მილიონი | 19.2 მილიონი |
| 9. [illegible] | [illegible] | 0.5 მილიონი | 0.5 მილიონი |
| 10. Les Egares, ანდრე ტეშინე | ემანუელ ბეარი, გასპარ ულიელი | 0.3 მილიონი | 2.2 მილიონი |



### კვირის რბილყდიანი ბესტსელერები გაზეთ "დეილი ტელეგრაფის" მიხედვით

| ავტორი | ნაწარმოები | გამომცემლობა | ფასი | გაყიდული წიგნების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. [illegible] | The Lovely Bones | [illegible] | 7.99 გირვანქა სტერლინგი | 23.226 |
| 2. [illegible] | [illegible] | [illegible] | 7.99 გირვანქა სტერლინგი | 16.657 |
| 3. [illegible] | Fox Evil | [illegible] | 6.99 გირვანქა სტერლინგი | 13.536 |
| 4. [illegible] | [illegible] | [illegible] | 5.99 გირვანქა სტერლინგი | 13.394 |
| 5. [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 გირვანქა სტერლინგი | 13.175 |
| 6. [illegible] | [illegible] | [illegible] | 5.99 გირვანქა სტერლინგი | 13.163 |
| 7. [illegible] | The Other Woman's Shoes | [illegible] | 6.99 გირვანქა სტერლინგი | 12.847 |
| 8. [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 გირვანქა სტერლინგი | 12.363 |
| 9. [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 გირვანქა სტერლინგი | 11.427 |
| 10. [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 გირვანქა სტერლინგი | 10.939 |



## TV პროგრამა
### 13 სექტემბერი

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი „ჰერკულესის თავგადასავალი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები“ **17.40** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა“ **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა“ **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ **20.05** სერიალი „მაქსი“ **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „სახელითა მამისათა“ რეჟ: ჯიმ შერიდანი. **02.20** მხ.ფილმი „იდეალური მსხვერპლი“. მთ. რ-ში: კელი მაკ გილისი, ბრიუს დერნი.

**პირველი არხი**

**08.00, 15.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ვიწრო ზღვარი“ **09.45** დოკ.სერიალი „ბუნების სამყაროში“ **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. სერიალი „არტე“ **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** ქართ. ფილმი „იშვიათი ფრინველები“ **16.55** სანინდარი **17.25** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **17.40** ტელეზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ **18.00** „ვესტნიკი“ **18.35** „თბილისის დროით“ **19.00** ისტორიანი **20.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.05** მოამბე **00.20** მხ. ფილმი „ფედერალური დაცვა“ **01.50** ღამის ჯაზი .

**პირველი სტერეო**

**09.00** მუსიკა **10.00** ტროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჯონი ინგლიში“ მთ. რ-ში როუენ ატკინსონი, ჯონ მალკოვიჩი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო“ „მიმწყვდეული“ მთ. რ-ში ტომი ლი ჯონსი, ბენისიო დელ ტორო. **01.50** „ღამურა“ „მკვდრების გაცოცხლებისას“ მთ. რ-ში ნიკოლას კეიჯი, პატრისია არკეტი. **03.45** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** დოკ. ფილმი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** დოკ. ფილმი **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი „ჰომერი და ედი“.

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი „ადამიანები შავებში“ **13.30** მხ. ფილმი „სამოთხის კარზე დაკაკუნება“ **15.00** მხ.ფილმი „საცდელი დღე“ **17.00** მხ. ფილმი „პატივმოყვარეობის კოცონი“ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „ძვლების მტვრეველი“ **22.30** მხ. ფილმი „არც ცოცხალი, არც მკვდარი“ **00.20** მხ. ფილმი „ბინა“.

**იბერია**

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ანტიპოდი“ **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „სიყვარული, რომელიც გიჭერს“ **02.30** მუსიკა.

**მეცხრე არხი**

**08.10** მხ. ფილმი „ზვიგენის თავდასხმა-1“ **10.00** მულტსერიალი „კონკია“ **10.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.00** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **12.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები“ **12.25, 14.15, 15.20, 16.20, 17.50, 22.05** მუსიკა **12.40** მხ. ფილმი „შურისძიება“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი“ **15.30** სერიალი „გამანადგურებლები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** „საუბრები სტუდიაში“ **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა“ მე-16ს. **21.15** სერიალი „80 დღე დედამიწის გარშემო“ მე-2ს. **22.15** „ტელემეტრი“-გარუჯვა, დეზადორი **22.30** გადაცემა „ოლიმპი“ **22.50** მოკლ.მხ.ფილმი „მის ამერიკული სილამაზე“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** მხ. ფილმი „1492 წელი სამოთხის დაპყრობა“.

**იმედი**

**09.00** ქრონიკა **09.15, 12.20, 14.50, 01.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.20** ანიმაციური სერიალი „სუპერმენი“ 1-2ს. **10.50** მხ. ფილმი „მამიკოები“ **12.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.10** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“ **15.10** მხ. ფილმი „იყო ერთი პოლიციელი“ **17.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **18.00** „ერთხელ ჰოლივუდში“ **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **19.20** მხ. ფილმი „მარტოსული გულები“ **21.05** ქართ. სერიალი „ყავა და ლუდი“ 1-ლი ს. **22.45** საღამოს ღიმილი **23.00** კლიპ-ლოტო **23.10** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. 1-ლი ტაიმი. **00.20** ქრონიკა **00.30** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. მე-2 ტაიმი.

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.10, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** მხატვრული ფილმი „გუსარების ესკადრონი“ **12.20** მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“ 3 ნაწ. 1 ს. **13.45, 14.05, 23.40** მუსიკა **14.00, 18.00** საინფ. გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.25** თრილერი „რემბო“ **16.20** მულტფილმი „შრეკი“ **17.50** მხ. ფილმი „მუშკეტერები 20 წლის შემდეგ“ 1 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.40, 00.15** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** „ყველანი ვართ პატარები“ **19.40** დოკუმენტური ფილმი **20.30** მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“ 3 ნაწ. 2 ს. **22.30** „სათქმელი“ **23.10** Слово **00.30** ვიდეოარტი **00.35** „ქართული კინო“ **02.30, 03.30** დოკუმენტური ფილმი **04.10** თრილერი „ზღვა სიყვარული“ .

**VII არხი**

**18.10** მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** „ნა-ნა-ნა“-კარაოკე **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.10** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.20** მელოდია **22.50** კომპიუტერული ტექნიკა 23.15“კინოკლუბი „ - „ომენი“ მე-2 სერია .

**ОРТ**

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Худ.фильм „Сказка странствий“ 09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Играй, гармонь любимая!“ **10.00** „Слово пастыря“ **10.10** „Здоровье“ **11.10** „Смак“ **11.30** „Гафт по имени Олевтин“ **12.20** „Путешествия натуралиста“ **13.10 Худ.фильм „До Земли и обратно“ 14.10** Док.фильм „Екатерина III“, часть 2. „Начальница культуры“ **15.10** Дисней-клуб: „Геркулес“ **15.30 Худ.фильм „Возвращение резидента“ 18.10** „Сантьяго. Чили. Тридцать лет спустя“ **19.20** „Смешные люди“ **21.00** „Кто хочет стать миллионером?“ **22.00** „Время“ **22.30** „Золотой Граммофон“ **23.30 Триллер „Шакал“ 01.40 Худ.фильм „Возвращение в голубую лагуну“ 03.40** „Реальная музыка“.

**РТР**

**07.00 Худ.фильм „Смерть на взлете“ 08.20 Сериал „Дракоша и компания“ 08.45** „Золотой ключ“ **09.05** „Русское лото“ **09.35** Мультфильм „Зима в Простоквашино“ **09.50** „Большая перемена“ **10.15** Маленькие комедии „Ха“ **10.30** „Утренняя почта“ **11.05** „Не скуЧАЙ!“ с М.Евдокимовым **12.00** „Сам себе режиссер“ **13.00** Экстремальный проект „Крутой маршрут“ **14.00** „В поисках приключений“ **15.00, 21.00** „Вести“ **15.20 Худ.фильм „Мачеха“ 17.00 Футбол. Чемпионат России. „Спартак“ (Москва) - „Торпедо“ (Москва) 19.00** „Комната смеха“ **20.00** Супер-шоу „Вторая половина“ **21.25** Зеркало **21.50** „Честный детектив“ Э.Петрова **22.20 Худ.фильм „Ангелы Чарли“ 00.25 Худ.фильм „Красная сирена“ 02.50** Чемпионат мира по автогонкам „Формула-1“. Гран-При Италии. **04.00 Сериал „Клоун“.**

**НТВ**

**07.15 Комедия „Бум“ 09.00, 13.00, 17.00**, „Сегодня“ **09.20 Худ.фильм „Улица Сезам“ 09.45 Худ.фильм „Та-ра-рам!“ 09.55** „Без рецепта“. Доктор Бранд **10.30** Обозреватель **11.05** „Кулинарный поединок: Валерия против Русланы Писанки“ **11.55** „Квартирный вопрос: стол для восточной трапезы“ **12.50** Спорт „Лото 6 из 49“ **12.55 Погода на завтра 13.15** Экспедиция Т.Баженова „Дикий мир“ **14.00** Вручение премии им. А.Боровика **15.50** „Вкусные истории“ **16.05** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“. Л.Долина **17.55 Сериал „Агент национальной безопасности 3“ 19.05** „Совершенно секретно: убийство Ю.Тишкова“ **20.00** „Личный вклад“ с А.Герасимовым **21.00 Худ.фильм „Катька и Шиз“ 22.55 Худ.фильм „Без пощады“ 01.05** „Ночные музы“ **02.45 Сериал „За гранью возможного“.**

# შესანიშნავი შვიდეულის ახალი ქართული დუბლიაჟი

მეხუთე სერია



**მოქალაქეთა კავშირიდან, აღორძინებიდან და სხვა პარტიებიდან "გაქცეული" წევრები**

**კალვერა:** "როდესაც ის სამნი არ დაბრუნდნენ, მე უნდა მივმხვდარიყავი...".



**სახელისუფლებო ბლოკის მიზანი არჩევნებში**

**კალვერა:** "მე რომ ამ სოფელს თავი დავანებო, ჩემს ხალხს ზამთარში რა ვაჭამო?"



**პოლიტიკაში მოღვაწეთა "ფილოსოფიური კრედო"**

**შვიდეულის დიალოგი:** - "ადგილი, რომელზეც გულით ხარ მიბმული – არა გაქვს, საყვარელი ადამიანები – არ გყავს, მეგობრები – არ გყავს, მტრები – არ გყავს."

– "საერთოდ არ გყავს მტრები?"

- "ცოცხალი – არა".



**რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მისწრაფებები საქართველოში**

**კალვერა:** - "სოტერო, ჩემო საუკეთესო მეგობარო, შენ ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებაა ნახო ისეთი სოფელი, როგორიც თქვენია...".



**რუსეთის ბაზების გაყვანა**

**კალვერა:** "თქვენ წასვლას არაფერი უშლის, ცხენები – გამზადებულია, საჭმელ-სასმელი – ჩალაგებული. იარაღი?... იარაღს დააწყობთ მაგიდაზე! თუმცა, საზღვარზე მას დაგიბრუნებთ."



**კორუმპირებული ჩინოვნიკები, საგადასახადოს და საბაჟოს თანამშრომლები**

**კალვერა:** "ამ გლეხებისათვის ნაკლები რომ დამეტოვებინა, თქვენ დაქირავებას ვერ შეძლებდნენ."

## ინგლისური ვარდები და მადონა

ახლახან "ჰარი პოტერის" სერიების ავტორს, ბრიტანელ ჯეი ქეი როულინგს ასტურიის პრინცის ჯილდო გადაეცა მსოფლიოში ჰარმონიის გავრცელებისთვის. უფრო ზუსტად კი, ესპანელებმა როულინგი იმისთვის დააჯილდოვეს, რომ მან მსოფლიოს ბავშვებს კითხვა კვლავ შეაყვარა. თუმცა, ახლახან გლაზგოელ მწერალს მადონას სახით კონკურენტი გამოუჩნდა. სუპერვარსკვლავი მომღერლის პირველი საბავშვო წიგნი, 30 ენაზე თარგმნილი "ინგლისური ვარდები" რამდენიმე დღეში ერთდროულად ას ქვეყანაში გამოვა. "ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ წიგნი რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში და რაც შეიძლება მეტ ენაზე თარგმნილი ერთდროულად მთელ მსოფლიოში გამოგვეცა. წარმოდგენილ ენებს შორის გვაქვს ჩეხური, ჩინური, ტაილანდური, თურქული, ებრაული, უნგრული და ა.შ.", - აცხადებს მადონას წიგნის გამომცემელი ამერიკაში, ნიკოლას კალევეი.

"ინგლისურ ვარდებს" პოპულარიზაციას თავად ავტორი გაუწევს. ის წიგნის პრეზენტაციას ჯერ ლონდონში დაესწრება, შემდეგ პარიზში გადაფრინდება, იქიდან კი – შტატებში და ოფრა უინფრის თოქ-შოუში მიიღებს მონაწილეობას. რა თქმა უნდა, წინასწარვე ვარაუდობენ, რომ მადონას სუპერვარსკვლავობიდან გამომდინარე, "ინგლისურ ვარდებს" უამრავი მკითხველი შეიძენს. თუმცა, გამომცემლები იმასაც აცნობიერებენ, რომ ის ყურადღება, რასაც მადონას სალიტერატურო დებიუტის მიმართ მკითხველი იჩენს, "ჰარი პოტერის" დამსახურებაა. სწორედ როულინგის გამოჩენის შემდეგ გაიზარდა საბავშვო წიგნების პოპულარობის მაჩვენებლი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. "ნილსენის" კვლევაც იგივეს ადასტურებს. სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ ბრიტანეთში საბავშვო წიგნების გაყიდვის მაჩვენებელი 2003 წლის პირველ ნახევარში 40.5 პროცენტით გაიზარდა. ახლა ბრიტანული წიგნის ბაზარზე 16 პროცენტი სწორედ საბავშვო ლიტერატურას უჭირავს.

რაც შეეხება "ინგლისურ ვარდებს" მის შინაარსს მადონაც და გამომცემლებიც სასტიკად ასაიდუმლოებენ. გამომცემლობა "პინგვინის" წარმომადგენლები კი (სწორედ "პინგვინი" გამოსცემს მადონას წიგნს ბრიტანეთში) აცხადებენ, რომ ტექსტი დაიწერა 8-80 წლის მკითხველისთვის – ეს კი ყველაზე იდეალური ასაკობრივი ჯგუფია.







**სწავლა ლონდონში**

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA / MSc

სრული კურსის ფასი £3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950.
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

**ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად**

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროგრამებით სწავლობენ, ურთულესი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მისწრაფება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67



მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "შიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას

პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში. მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17



**International House**

A MEMBER OF THE INTERNATIONAL HOUSE WORLD ORGANISATION

**საერთაშორისო სახლი**

უცხოური ენების სწავლების ცენტრი

15 სექტემბერს
იწყებს
ინგლისური ენის სწავლების ახალ კურსს

- ბავშვების, მოზარდებისა და მოზრდილთათვის
- საერთაშორისო გამოცდების (FCE, CAE, CPE, IELTS, TOEFL) მოსამზადებელი კურსი
- ბიზნეს-ინგლისურის კურსი

მეცადინეობები დაიწყება:
10.00; 12.00; 15.00; 17.00; 19.00.

- სწავლების ყველა დონე
- მეცადინეობები კვირაში სამჯერ, 2 საათი
- წინასწარი ტესტირება და გასაუბრება: ყოველდღე 14.00 დან 18.00 მდე
- კვალიფიცირებული ქართველი,უცხოელი მასწავლებლები
- გაიცემა სერთიფიკატი
- ტელეფონები: 94-05-15, 33-01-79
- მისამართი: დოლიძის 2

ისწავლეთ ინგლისური პროფესიონალებთან!

**International House**

A MEMBER OF THE INTERNATIONAL HOUSE WORLD ORGANISATION
www.ihworld.com



**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.